ეროვნული
ბიბლიოთეკა
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 83
(11 540)

23 – 25 ოქტომბერი, 2001 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



## ბრინჯაოს ვეღარ გავსცდით

როგორც „ლელოს“ წინა ნომერში ვიუწყებოდით, აზერბაიჯანის დედაქალაქში მიმდინარე კადეტ მოკრივეთა (1985-1986 წ.წ.) მსოფლიო პირველობაში საქართველოს სამ წარმომადგენელს განაღდებული ჰქონდათ ბრინჯაოს მედლები და შემდეგი ორთაბრძოლები უკეთესი ხარისხის მედლების მოსაპოვებლად უნდა წარემართათ. სამწუხაროდ, უკეთესი შედეგის მიღწევა ჩვენებმა ვერ შეძლეს. — ნახევარფინალი სამივემ დათმო. მაშ ასე, ბრინჯაოს მედლები წილად ხვდათ: გორელ ვამეხ ტერაშვილს (63,5 კგ), თბილისელებს — თორნიკე ივედაშვილს (67) და გიორგი ცერცვაძეს (71).

## ლაბაძემ რუსეთელთა ბოლო იმედი გამოთიშა...

რუსეთის გუნდის ბოლო იმედი იგორ კარნიენკო თბილისელმა ჩოგბურთელმა ირაკლი ლაბაძემ გამოთიშა პეტერბურგში მიმდინარე „სპბ ოპენის“ ტურნირიდან. ქართველმა ჩოგბურთელმა შთამბეჭდავად გაიმარჯვა 6:3, 6:1. ლაბაძესთან შეხვედრამდე კორნიენკომ სძლია გერმანელ მიხაელ კოლმანს და ბელარუს ალექსანდრ შვეცს.



ირაკლი ლაბაძე

**შაბათ-კვირას** მიხეილ კეკელიძის სახელობის ბავშვთა საკალათბურთო დარბაზში დაიწყო XI ეროვნული ჩემპიონატი. აღსანიშნავია, რომ ჩემპიონატს, ხუთწლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა ქუთაისის გუნდი. პირველ ორ დღეს სამი შეხვედრა ჩატარდა. ფავორიტებმა პირველი გამარჯვებები მოიპოვეს.

### კალათბურთი • ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატი



***20 ოქტომბერი***

***თსუ — სსუ 93:63*** (26-16, 18-20, 27-19, 22-8)

***შევარდენი — დინამო 81:62*** (13-14, 25-14, 16-17, 27-17)

***21 ოქტომბერი***

***„აზოტი“ — „ქუთაისი“ 86:70*** (19-8, 25-24, 24-19, 18-19)

შემდეგი ტური მომავალ შაბათ-კვირას გაიმართება ბათუმში.

## უპრეცედენტო შემთხვევა: ფეხბურთის მსაჯს გულშემატკივარმა სასამართლოში უჩივლა...

5

## სპორტი და თბილისობა

27-28 ოქტომბერს თბილისობასთან დაკავშირებით დედაქალაქის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური ატარებს „თბილისობა-2001 წლისადმი“ მიძღვნილ სპორტულ და მასობრივ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებს ქუჩის ფეხბურთში, მინიკალათბურთში, ბაგირის გადაძალვაში, სიმძიმეების აწევაში, ფარიკაობაში, სპორტულ აკრობატიკაში, ქართულ ჭიდაობაში, მეკლდეურობაში, ხრიდოლში. მოეწყობა აგრეთვე მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა საჩვენებელი გამოსვლები. დასაწყისი 11 საათიდან.



საქართველოს 17-წლიანთა ნაკრები



ლიდსი — ჩელსი



მალაგა — ბარსელონა

## ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

6



ინტერი — მილანი



ბოავიშტა — ბრაგა



უზბეკეთი — ჩინეთი

6



ვალენსია — სარაგოსა

## გაზეთის დაბეჭდვის წინ:

### უეფამ «რეინჯერსს» უარი უთხრა

წუხელ, უეფას სააპელაციო კომისიამ უარი უთხრა „რეინჯერსს“ მოსკოვში უეფას თასზე 1/32 ფინალის მატჩის მოსკოვიდან სხვაგან გადატანის მოთხოვნაზე. მატჩს 1 ნოემბერს მოსკოვის „დინამოსთან“, როგორც დაგეგმილი იყო „რეინჯერსი“ მოსკოვში გამართავს *(იხ. მე-3 გვ.)*.

### ფეხბურთი • ეროვნული ჩემპიონატები

| | | |
|---|---|---|
| **რუსეთი:** | კრილია სოვეტოვი — დინამო | 3-0 |
| **დანია:** | ოლბორგი — ორჰუსი | 1-4 |
| **შვედეთი:** | იურგორდენი — ჰელსინბორგი | 2-2 |
| | მალმიო — ელფსბორგი | 3-1 |
| | იორებრო — აიკ | 1-2 |

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელიწადი და 10 თვე დარჩა

SALT LAKE 2002

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 111 დღე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

# მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო — ქართულ სპორტს!

## აშშ-ს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა თავის სპორტსმენებს ფულადი ჯილდოს ოდენობა გაუზარდა

აშშ-ს ოლიმპიურმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება ფულადი ჯილდოს ოდენობა გაუზარდოს იმ სპორტსმენებს, რომლებიც სოლტ-ლეიკ-სიტში გამართულ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მედლებს მოიპოვებენ. მაგალითად, ოქროს მედლის მფლობელს გადაეცემა 25 ათასი დოლარი ანუ 10 ათასით მეტი, ვიდრე ეს იყო სიდნეიში. ვერცხლის მედალოსანი მიიღებს 15 ათასს (პლუს 5), ბრინჯაოსი — 10 ათასს (პლუს 2,5).

გარდა ზემოხსენებულისა, ზამთრის ოლიმპიური თამაშების ამერიკელ ჩემპიონებს და პრიზიორებს ფულით წაახალისებენ ფედერაციები და სპონსორები. კომიტეტმა აგრეთვე მოიწონა ამერიკელ სპორტსმენთა 2004 წლის ზაფხულის თამაშებისთვის მზადების ხარჯების 20 პროცენტამდე გაზრდის წინადადება. დამატებითი თანხა 39 მილიონს უდრის.

## სამბო ოლიმპიური სახეობა გახდება?

კრასნოიარსკში სამბოში მსოფლიო ჩემპიონატის პარალელურად გაიმართა სამოყვარულო სამბოს საერთაშორისო ფედერაციის კონგრესი, რომელმაც პრეზიდენტად კვლავ აირჩია რუსეთელი მიხაილ ტიხომიროვი. ჟურნალისტებთან საუბრისას ტიხომიროვმა განაცხადა, რომ იმედოვნებს მიმდინარე წლის დეკემბერში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი თავის სხდომაზე მიიღებს ოლიმპიურ სახეობებად სამბოს აღიარების გადაწყვეტილებას.

## სპორტული დიდების ხეივანი ჩრდილოეთ ოსეთში

ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტის ალექსანდრ ძასოხოვის თაოსნობით, ვლადიკავკაზში შეიქმნა სპორტული დიდების ხეივანი ცენტრალური მანეჟის მიმდებარე ტერიტორიაზე. აქვე უკვე დაიდგა თავისუფალ ჭიდაობაში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონის, ამ რესპუბლიკის სპორტკომიტეტის თავმჯდომარის, სოსლან ანდიევის ბრინჯაოს ორმეტრიანი ფიგურა. არქიტექტორთა პროექტით იქვე დაიდგმება ბრინჯაოში გამოკვეთილი ჩრდილოეთ ოსეთელი კიდევ ხუთი ოლიმპიური ჩემპიონის ფიგურა. „სპორტული დიდების ხეივნის შექმნით პატივს მივაგებთ ვალმოხდილ სპორტსმენებს, ახალგაზრდებს კი ოლიმპიური მწვერვალების დაპყრობის სტიმული მიეცემა“ — ამბობს ა. ძასოხოვი.

*აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ამ 10-11 წლის წინათ, თბილისშიც ჩაეყარა საფუძველი სპორტული დიდების ხეივნის გახსნას. საზეიმო ცერემონიაც ჩატარდა დიღმის მასივის ტყე-პარკის ტერიტორიაზე, სადაც მიწის ნაკვეთი გამოიყო. შემდეგ ეს ადგილი ყველამ მიივიწყა, გარდა... იმ ხალხისა, ვინც ეს ფართობი მავანთა ხელშეწყობით, სახლების ასაშენებლად მიისაკუთრა. ეს უნდა იცოდეს მომავალმა თაობებმა.*

# ძველი ტრეკი ახალ სიცოცხლეს იბრუნებს

ბაზა და ხელმძღვანელი

***თბილისის ერთ-ერთ უძველეს სპორტულ ობიექტს, დედაქალაქის ველოტრეკს, რომელსაც არსებობის 116 წელი შეუსრულდა, ახალი დირექტორი ჰყავს — ვეტერანი ველომრბოლი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საქართველოს ველოფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი მერაბ სურმავა. წესით, ასეთ ავტორიტეტულ სპორტულ ბაზაზე ხელმძღვანელად მოსვლა კაცს უნდა ეამაყებოდეს. მაგრამ ეს მაშინ, თუ ტრადიციები შენარჩუნებულია და წინამორბედთა ნაღვაწ-ნაამაგრის გაგრძელება ბედმა შენ გარგუნა. მერაბ სურმავას საამაყოზე მეტი საფიქრალ-საზრუნავი აქვს. არა თუ ტრადიციები, ყველაფერი თითქმის თავიდანაა დასაწყისი. სხვა რომ არაფერი, ფაქტობრივად, ახალ ხელმძღვანელს ტრეკზე „ავგიას თავლა“ დახვდა და საქმესაც მისი გაწმენდით შეუდგა. სამუშაო კი, რა თქმა უნდა, როგორც იტყვიან, თავზე საყრელია.***

***დღეს „ლელოს“ სტუმარია ძველი ტრეკის ახალი დირექტორი.***



● ***ბატონო მერაბ, ჯერ ის გვითხარით, ვის ბალანსზე მყოფი ობიექტი ჩაიბარეთ?***

— ყოფილ კამოს ქუჩაზე მდებარე ძველი ველოტრეკი, ამჟამადაც თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურის ბალანსზე ირიცხება. ასე რომ, პრივატიზებული არ არის.

● ***მერედა, კარგია ეს თუ ცუდი?***

— რა თქმა უნდა, კარგია. რა, რომელი ბაზაც გასხვისდა, უკეთეს დღეშია? ბევრმა ხომ ფუნქცია საერთოდ დაკარგა.

● ***ფუნქცია ძველ ველოტრეკს ისედაც შეეკვეცა, როცა საბურთალოზე ახალი გაიხსნა.***

— კი, მაგრამ, ძველი მაინც სრული მასშტაბით მუშაობდა და მუშაობს. ახლა საქმე იქით მიდის, რომ ისევ ძველ ტრეკს უბრუნდება ველოსპორტის ცენტრი.

● ***რამდენადაც ვიცით, ტრეკზე სპორტსკოლაც მუშაობს...***

— დიახ, მუშაობდა და მუშაობს. სკოლას თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახური აფინანსებს. ამჯერად, 20-ზე მეტი თანამშრომელი გვყავს. სასკოლო ასაკის 25 ჯგუფში ბევრი ველომოყვარულია გაერთიანებული.

● ***ახალ ხელმძღვანელს რა პრობლემები დაგხვდათ გადასაწყვეტი?***

— მაგის ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, ქაღალდზეც არ ჩამომიწერია, რომ გული არ გამტეხოდა. უბრალოდ, ავდექი და პირდაპირ საქმეს შევუდექი. უპირველესად ტერიტორია და სათავსოები მოვაწესრიგეთ.

● ***მთავარი ალბათ, მაინც, კაპიტალური რემონტია...***

— რა თქმა უნდა.

● ***კი, მაგრამ, საიდან და როგორ — თანხები?***

— დირექტორად მოსვლისთანავე გამოვითხოვე კომისია სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურიდან. ყველაფერი დავაფიქსირეთ. კაპიტალური რემონტის თანხის გამოყოფას გაისის დასაწყისისათვის შეგვპირდა ზემოხსენებული საქალაქო სამსახურის უფროსი დავით ჭელიძე.

● ***ალბათ ინვენტარსაც შეიძენ...***

— იმედი გვაქვს. ბოლო ათ წელიწადში ინვენტარი, საერთოდ, არ განახლებულა.

● ***ახლა, სპორტულ ბაზებზე, გამაჯანსაღებელი კერებიც იქმნება, თქვენ რას ფიქრობთ?***

— ყველაფერი, რასაც გავაკეთებთ — მასაჟის კაბინეტი, სამდივნო პუნქტი და სხვა, კეთილმოწყობილი საშხაპეები, გამაჯანსაღებელ ჯგუფებსაც მოემსახურება.

***მოკლედ, ახალი დირექტორი იმედით მივიდა თბილისის ამ უძველეს სპორტულ ბაზაზე, რომელზედაც მთელი თაობები აღიზარდნენ, მათ შორის მსოფლიოში აღიარებული ომარ ფხაკაძე. დაიბრუნებს თუ არა ქალაქის ცენტრში მდებარე ტრეკი ახალ სიცოცხლეს? უნდა დაიბრუნოს. უბრალოდ მეტი გზა არ არის. საქართველოში ველოსპორტმა უნდა იცოცხლოს და კვლავაც აღზარდოს მომავალი ჩემპიონები და რეკორდსმენები, XXI საუკუნის ოლიმპიელები.***

ც. ბაქრაძე

# „კოლეჯი“ — ხუთგზის ჩემპიონი!

ბალახის ჰოკეი

ბათუმის „დინამოს“ სტადიონის ხელოვნურსაფარიან მოედანზე ჩატარდა საქართველოს 2001 წლის ჩემპიონატი ბალახის ჰოკეიში ქალთა გუნდებს შორის. ბათუმის მე-20 სკოლის სპორტსმენებთან ერთად სამი გუნდი დაუპირისპირდა ერთმანეთს — „ქუთაისი“, „ხვამლი“ და ბათუმის სახელმწიფო უმაღლესი პედაგოგიური „კოლეჯი“. ამ უკანასკნელმა მაღალ დონეზე წარმართა ყველა შეხვედრა. პირველ ტურში მოუგეს „ხვამლს“ — 3-1 (ნინო დევაძემ ორი ბურთი მოათავსა მეტოქის კარში, ერთი — მეგი ურუშაძემ). მეორე ტურში 2-0 სძლია მე-20 სკოლის აღსაზრდელებს. აქ გუნდი ნინო ფცქიალაძემ და ნინო დევაძემ დააწინაურეს. გადამწყვეტ მესამე ტურში აჭარელმა სპორტსმენებმა დიდი ანგარიშით 6-3 აჯობეს „ქუთაისს“, ხოლო ჰეთთრიკი შეასრულეს მეგი ურუშაძემ და ნინო დევაძემ. თავის მხრივ, მეკარე ნინო აბაშიძემ ოთხი შვიდმეტრიანი საჯარიმო მოიგერია.

ამრიგად, ბათუმის „კოლეჯმა“ (მწვრთნელი ნიკოლოზ ბარამიძე) დამსახურებულად ზედიზედ მეხუთედ მოიპოვა ჩემპიონის სახელი.

საუკეთესო გოლკიპერის პრიზი ერგო ნინო აბაშიძეს, მცველის — ნათელა აბუსერიძეს, გოლეადორის — ნინო დევაძეს (სკოლა-„კოლეჯი“), საუკეთესო ნახევარმცველის — ირმა კისკეიძეს („ქუთაისი“), ახალგაზრდა პერსპექტიული მოთამაშის — სოფიკო მამუჭაძეს (მე-20 სკოლა).

ბათუმის „კოლეჯის“ ბალახის ჰოკეისტი გოგონები 2002 წლის ევროპის ჩემპიონატში იასპარეზებენ საკლუბო გუნდებს შორის გაისად, 17-21 მაისს.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ სპორტის ამ სახეობის ჩვენებურ მიმდევართა ესოდენ წარმატებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის აჭარის ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტს ნოდარ თამაზაშვილს.

ოთარ მურვანიძე,
გაზეთ „ლელოს“ საკ. კორ. აჭარაში.

# საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის განცხადება

ა/წლის 16 ნოემბერს, 16 საათზე საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სხდომათა დარბაზში (ილ. ჭავჭავაძის გამზ. №49) ჩატარდება საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის მორიგი საერთო კრება, რომელზედაც მიღებულ უნდა იქნას შემდეგი ნორმატიული დოკუმენტები: რესპუბლიკაში ალპინიზმის განვითარების 5-წლიანი პროგრამა, ასვლების ორგანიზაცია-ჩატარების წესები, სათანრიგო ნორმატივები, ალპინისტური მარშრუტების საკლასიფიკაციო ცხრილი. დღის წესრიგში შეტანილია, აგრეთვე, ფედერაციის გამგეობის ანგარიშის მოსმენა და გამგეობის შემადგენლობაში ცვლილებების შეტანა.

დელეგატების რეგისტრაცია 15-16 საათამდე.

# არჩილ მიშველაძის ხსოვნას ძალოსნებმა პატივი მიაგეს

აფხაზეთში ტრაგიკულად დაღუპული სპორტსმენის, ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენოსან არჩილ მიშველაძის ხსოვნას მიეძღვნა თბილისის 2001 წლის ღია პირველობა ძალოსნობაში, რომელშიაც, ფაქტობრივად, ჩვენი ქვეყნის ყველა უძლიერესმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. პირველობას ვერ ამშვენებდნენ მხოლოდ გიორგი ასანიძე და ალეკო ნოზაძე, რომლებიც მოახლოებულ მსოფლიო პირველობისთვის პოლონეთში ემზადებიან. დედაქალაქის ღია პირველობას კი ის 2-3 ძალოსანი უნდა გამოევლინა, რომლებიც ასანიძესთან და ნოზაძესთან ერთად, ანტალიაში (5-11 ნოემბერი) მსოფლიო არენაზე გამოვლენ. აი, ისინიც: გ. კობალაძე, ზ. ავთანდილაშვილი, დ. პავლიაშვილი.

„ღია პირველობის მაღალ დონეზე ჩასატარებლად ყველაფერი გააკეთა თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურმა და პირადად მისმა უფროსმა დავით ჭელიძემ“ — უთხრა „ლელოს“ კორესპონდენტს ასპარეზობის მთავარმა მსაჯმა, ეროვნული კატეგორიის არბიტრმა გურამ ფარულავამ.

სპორტსმენებს პატრიოტული სიტყვით მიმართეს არჩილ მიშველაძის მამამ, მწერალმა და პარლამენტარმა, პროფესორმა რევაზ მიშველაძემ და ზემოხსენებული საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ვლადიმერ კანკავამ.

წონითი კატეგორიების მიხედვით გამარჯვებულები არიან: გიორგი ჩხუბიანაშვილი (56 კგ), მერაბ ჩხუბიანაშვილი (62), ამირან ჰიტაძე (69), დავით პავლიაშვილი (77), გელა ბაზაძე (85), ბესო გოგია (94), ზურაბ ავთანდილაშვილი (105), გოგიტა კობალაძე (პლუს 105).



*სურათზე: გიორგი ასანიძის წონაში (85 კგ-მდე) გამარჯვებული გელა ბაზაძე.*

ჯანმრთელობის კუთხე



თერაპევტ ნინო აფაქიძის რედაქციით

# არათითი ინფარქტის საიდუმლოებებს ხსნის

ლივერპულის უნივერსიტეტის მეცნიერებმა 150 პაციენტზე, ვინც ინფარქტი უკვე გადაიტანა, გამოკვლევა ჩაატარეს და საოცარ დასკვნამდე მივიდნენ. მკვლევარები ამტკიცებენ, რომ მოზარდ ბიჭუნებში თითების სიგრძის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ გულის მოსალოდნელ დაავადებაზე უკვე მათი მოწიფულობის ასაკში. თუ არათითის სიგრძე მცირედით განსხვავდება საჩვენებელი თითის სიგრძისგან, გულის დაავადებათა რისკი ადრეულ ასაკში ძალიან მაღალია. მეცნიერები ურჩევენ ოჯახის ექიმებს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოზარდების თითებს, რათა შეძლებისდაგვარად აიცილონ თავიდან დაავადების განვითარება.

თითების სიგრძეში განსხვავებას მკვლევარები ხსნიან ორგანიზმში მამაკაცური და ქალური ჰორმონების რაოდენობით. ძალიან გრძელი არათითი მიუთითებს ტესტოსტერონის დიდი რაოდენობის არსებობაზე. ეს ნივთიერება კი, როგორც ცნობილია, გულის დაავადებათა წინასწარ მაუწყებელია.

ეს რჩევა ბავშვებთან მომუშავე მწვრთნელებს და სპორტული მედიცინის მუშაკებსაც გამოადგება.

## «ლელოს» ანკეტა

# თემურ ლორთქიფანიძე

● ***როდის და როგორ დაიწყო თქვენი ურთიერთობა სპორტთან?***

— სპორტთან 7 წლის ასაკიდან ვარ დაკავშირებული. ვცხოვრობდი თბილისის ერთ-ერთ ძველ, კოლორიტულ უბანში შავ სოფელში, რომელთანაც



ახლოსაა ორთაჭალის საცურაო აუზი. იქ დავიწყე ცურვაზე სიარული.

● ***რამ განაპირობა სპორტში თქვენი არჩევანი?***

— ბავშვობიდან ჩანერგილმა სპორტის სიყვარულმა და მწვრთნელების მშობლიურმა ზრუნვამ.

● ***რა განსხვავებას ხედავთ თქვენი დროის ბავშვობასა და ახლანდელ მოზარდთა შორის, მათი სპორტისადმი დაინტერესების კუთხით. მასობრივი სპორტი როდის უფრო სრულყოფილი იყო?***

— ჩემი დროის ბავშვების სპორტისადმი დამოკიდებულება უფრო სერიოზული იყო. იმ პერიოდში თითქმის ყველა მოზარდი ვარჯიშობდა სპორტის სხვადასხვა სახეობაში. ხშირად ვმონაწილეობდით შეჯიბრებებში. სპორტი უფრო მასობრივი იყო. სპორტის მესვეურები გაცილებით სერიოზულ ყურადღებას აქცევდნენ მოზარდი თაობის გაჯანსაღებას და აღზრდას.

● ***რას უწუნებთ ახლანდელ აღმზრდელებს?***

— ნაკლებ ყურადღებას უთმობენ სპორტსმენთა სწავლა-განათლებას. ხშირად ვარჯიშებს ატარებენ იმ პერიოდში, როდესაც სპორტსმენი გაკვეთილზე ან ლექციაზე უნდა იყოს. ქვეყანას სპორტსმენი სჭირდება, როგორც ძლიერი, ისე განათლებული.

● ***რა წარმატებები გქონდათ სპორტში?***

— 16 წლისა უკვე ვიყავი „ლოკომოტივის" ოსტატ წყალბურთელთა გუნდის წევრი, 17 წლისა საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში გამომიძახეს, 18 წლიდან კი თბილისის „დინამოს" და საქართველოს ნაკრების ოსტატ წყალბურთელთა გუნდში ვთამაშობდი.

● ***თქვენი ჰობი?***

— ძალიან აზარტული ვარ და მიყვარს ყველა აზარტული თამაშები ჩემი სპორტული ქინიდან გამომდინარე.

● ***როგორ უთავსებთ სპორტს, სწავლას და მეცნიერულ მუშაობას?***

— 16 წლისა გავხდი ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი. მეორე კურსიდან უკვე ვავარჯიშებდი ბავშვთა სპორტულ ჯგუფს, თან ვთამაშობდი „დინამოში". სწავლის პერიოდში არც ერთი მეცადინეობა არ გამიცდენია. მით უმეტეს, რომ ორჯერადი ვარჯიში მქონდა. დილით — 6-7 საათზე, შემდეგ იყო ინსტიტუტში ლექციები სამის ნახევრამდე. ძირითადი ვარჯიში მქონდა საღამოს 8 საათიდან „დინამოში". ისე რომ, სწავლას, სპორტს და სამეცნიერო მუშაობას ერთმანეთს ვუთავსებდი. თუ მოინდომებს ადამიანი, მუდამ გამონახავს დროს ყველაფერი შეათავსოს. მომზადებული მყავს სპორტის ათი ოსტატი.

● ***რა მოგცათ ბავშვებთან მუშაობამ?***

— დიდი პედაგოგიური გამოცდილება, მრავალი ექსპერიმენტი ჩავატარე.

● ***რა ახალი სპეციალობებია თქვენს სასწავლებელში?***

— ჩემი დირექტორად დანიშვნიდან გაიხსნა სპორტისა და ჩვენი ქვეყნისთვის ისეთი აუცილებელი სპეციალობები, რაზედაც, დღევანდელ დღეზე რომ არაფერი ვთქვათ, მომავალში იქნება მოთხოვნა.

● ***კონკრეტულად რა სპეციალობებზეა ლაპარაკი?***

— ესაა სპორტული ჟურნალისტიკა (კინო-ფოტო რეპორტიორი), სამკურნალო-სარეაბილიტაციო საქმე (ექთან-მასაჟისტი), სამაშველო საქმე (მაშველი წყალზე და სამთო მაშველი), სპორტის სამართლის იურისტ მენეჯერი.

ჩაიწერა
ნინო ძავთარაძემ

## ცნობები ინტერნეტის სამყაროდან

## „რეინჯერსმა" ისევ უარი განაცხადა რუსეთში თამაშზე

„გლაზგო რეინჯერსის" ფეხბურთელებმა კვლავ განაცხადეს უარი ითამაშონ რუსეთში. კლუბის პრეზიდენტი აცხადებს: „ასეთ გადაწყვეტილებას ხელმძღვანელობა იმით ხსნის, რომ რუსეთში არავის შეუძლია იმის გარანტიის მოცემა, რომ თამაშის დღეს მოსკოვში თოვლი არ წამოვა და ყინვა არ იქნება, ეს კი ეწინააღმდეგება უეფას მოთხოვნას, არ ჩატარდეს მატჩები, როცა ჰაერის ტემპერატურა მინუსია".

ახლა „რეინჯერსის" ხელმძღვანელობა თხოვნით მიმართავს უეფას მოსკოვში 1 ნოემბერს მოსკოვის „დინამოსთან" ჩასატარებელი უეფას თასის საპასუხო მატჩის ნეიტრალურ მოედანზე გადატანის თაობაზე. პირველ მატჩში, რომელიც გლაზგოში გაიმართა, „რეინჯერსმა" დამაჯერებლად მოუგო „დინამოს" – 3-1. მოსკოველთა კაპიტანმა გუსევმა მხოლოდ მატჩის 90-ე წუთზე შეძლო ერთი გოლის გატანა. შეგახსენებთ, რომ „გლაზგო რეინჯერსმა" უეფას თასის პირველი რაუნდის მატჩში მახაჩყალაში ჩასვლაზე განაცხადა უარი, სადაც „ანჟის" უნდა შეხვედროდა. მაშინ კლუბის თხოვნა დაკმაყოფილდა და თამაში გაიმართა ვარშავაში. მატჩი „ანჟიმ" წააგო 0-1, რამაც „რეინჯერსი" შემდგომ ეტაპზე გაიყვანა *(იხ. 1-ლი გვ.)*.

## გულშემატკივარმა მსაჯს სასამართლოში უჩივლა

**საფეხბურთო სამყაროში ახალი პრეცედენტი ჩნდება და მისი ავტორი იქნება ერთი რუმინელი ფეხბურთის გულშემატკივარი, რომელმაც სასამართლოში უჩივლა ქვეყნის მეორე დივიზიონის ერთ-ერთი მატჩის მსაჯს რობერტ გოიანეს. როგორც იუწყებიან, გულშემატკივარს პროცესის მოგების დიდი შანსი აქვს, რადგან არბიტრმა რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა.**

**რუმინეთში დიდი გამოძახილი ჰპოვა ამ ფაქტმა. საზოგადოებრიობა მიიჩნევს, რომ ეს კარგი დასაწყისია და უნდა ეშინოდეთ იმ საფეხბურთო მსაჯებს, რომლებიც ხშირად ან თავხედური მიკერძოებით გამოირჩევიან, ან შეგნებულად უშვებენ უხეშ შეცდომებს ერთი გუნდის სასარგებლოდ და მეორის საზიანოდ.**

## სამი სპორტსმენის ჩემპიონატი

მადრიდში დასრულდა მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა მსოფლიო ჩემპიონატი. კვლავ დაადასტურა თავისი უძლეველობა 18 წლის რუსეთელმა „ჯადოქარმა" ალინა კაბაევამ, რომელმაც სამ პროგრამაში მოიპოვა პირველობა და მხოლოდ რგოლით ასპარეზობაში დასჯერდა ვერცხლის მედალს, სადაც უძლიერესი იყო მისივე თანამემამულე ირინა ჩაშინა. თავის მხრივ სწორედ ჩაშინა გახდა მეორე პრიზიორი დანარჩენ პროგრამაში.



ალინა კაბაევა

***კვარცხლბეკი. სახტუნელა:*** 1. ალინა კაბაევა (რუსეთი) — 27,925, 2. ირინა ჩაშინა (რუსეთი) — 27,250, 3. ტამარა ეროფეევა (უკრაინა) — 26,025. ***რგოლი:*** 1. ჩაშინა — 27,500, 2. კაბაევა — 27,450, 3. სიმონა პეიჩევა (ბულგარეთი) — 26,175. ***ბურთი:*** 1. კაბაევა — 28,375, 2. ჩაშინა — 27,525, 3. პეიჩევა — 26,625. ***საგნით ვარჯიში:*** 1. კაბაევა — 28,375, 2. ჩაშინა — 27,525, 3. პეიჩევა — 27,275.

50 მონაწილე ქვეყნიდან 47 ქვეყანა, მათ შორის საქართველო, როგორც ხედავთ, უმედლოდ დარჩა.

## ამერიკის ჩემპიონმა სპორტულ დიდებას სამხედრო სამსახური არჩია

**„მე მზად ვიყავი მებრძოლა მსოფლიო ჩემპიონატის მეორე ოქროს მედლისთვის, მაგრამ ახლა ჩემს ქვეყანას მეომარი უფრო სჭირდება და ჩემს სპორტულ კარიერას ამერიკის შეიარაღებულ ძალებში სამსახურს ვსწირავ" — განაცხადა აშშ-ის ჩემპიონმა ქალმა თავისუფალ ჭიდაობაში (55 კგ) ტინა ჯორჯმა. შეგახსენებთ, რომ წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატი აშშ-დან, ტერაქტების გამო, სოფიაში გადაიტანეს და იგი 22-25 ნოემბერს გაიმართება.**

## ცაბელი რეიტინგში ისევ პირველია

**გუშინ გამოქვეყნდა ველომრბოლთა მსოფლიო რეიტინგი. სიის სათავეში კვლავ გერმანელი ერიკ ცაბელია — 2387.00 ქულა. ბოლო დროს პროგრესულად წაიწია წინ ჰოლანდიელმა ერიკ დეკერმა, რომელიც ლიდერს საგრძნობლად მიუახლოვდა — 2026.00, მესამე საფეხურზეა იტალიელი დავიდე რებელინი — 1977.00, მეოთხეა — ამერიკელი ლენს არმსტრონგი — 1731.00, მეხუთე — გერმანელი იან ულრიხი — 1680.00, მეექვსე — იტალიელი ჯილბერტო სიმონი — 1644.00.**



*ერიკ ცაბელი*

## მე-7 ეტაპი ვოგელსმა მოიგო

ავსტრალიის ველორბოლის მე-7 ეტაპი მოიგო მასპინძელთა გუნდის წარმომადგენელმა ჰენკ ვოგელსმა, რომელმაც საათში 42,80 კმ საშუალო სიჩქარე განავითარა და 180,3 კილომეტრიანი დისტანცია 4:12.45 წ. დაფარა. მეორე იყო მერიკელი დეივ მაკუკი, მესამე — ბელგიელი — ბარტ ხეივერო.






*ანდრეი შკალიკოვი*

## ჩემპიონების ნაცვლად სარეიტინგო ბრძოლა ჩაუთვალეს

ჩელიაბინსკელმა პროფესიონალმა მოკრივემ ანდრეი შკალიკოვმა რუსეთის ჩემპიონობისთვის ბრძოლა, რომელიც კრასნოდარში გაიმართა, ჩაითვალა სარეიტინგო პაექრობად, რადგან ბოლოს გაირკვა, რომ ორგანიზატორებს რუსეთის ჩემპიონის ქამრისთვის მატჩის მოსაწყობად აუცილებელი პირობები არ გაუთვალისწინებლიათ. კერძოდ, არ გამოუსყიდიათ ლიცენზია, არ დაელოდნენ „სუპერვაიზერის" ჩამოსვლას.



*ჯენიფერ კაპრიატი*

## ახალი საჩოგბურთო რეიტინგები

პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციამ გამოაქვეყნა ვაჟთა ახალი რეიტინგი. პირველ ადგილს კვლავ გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) ინარჩუნებს, რომელსაც 756 ქულა აქვს. შემდეგ მოდიან: 2 (3). ლეიტონ ჰიუტი (ავსტრალია) — 722.
3 (2) ანდრე აგასი — 684,
4 (4) პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) — 557
5 (5) ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) — 553
6 (6) ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) — 483
7 (12) ტომი ხაასი (გერმანია) — 412
8 (7) პიტ სამპრასი (აშშ) — 388
9 (8) სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი) — 378
10 (9) ტიმ ჰენმენი (დიდი ბრიტანეთი) — 377...



*გუსტავო კუერტენი*

### ქალთა რეიტინგი

ქალთა საჩოგბურთო ასოციაციის ახალი რეიტინგის ათეული ასე გამოიყურება:
1 (1) ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) — 4962
2 (2) მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) — 4842
3 (3) ლინდსეი დევენპორტი (აშშ) — 4627
4 (4) ვინუს უილიამსი (აშშ) — 4128
5 (5) კლიმ კლეისტერსი (ბელგია) — 2880
6 (7) ჟიუსტინ ენენი (ბელგია) — 2899
7 (6) ამელი მორესმო (საფრანგეთი) — 2881
8 (8) მონიკა სელეში (აშშ) — 2672
9 (10) ელენა დოკიჩი (იუგოსლავია) — 2566
10 (9) სერენა უილიამსი (აშშ) 2501.



ლოკომოტივი – ტორპედო
ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

# ლიდერებმა ქულა გაიყვეს

საქართველოს XIII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში
უმაღლესი ლიგა XII ტური

21 ოქტომბერი. „ლოკომოტივის" სტადიონი

**ლოკომოტივი (თბილისი) — ტორპედო (ქუთაისი) 1–1**

**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, სალუქვაძე, დავითნიძე, მორჩილაძე (ბაქრაძე 30), გელა ქორიძე, ჰიჰვეიშვილი, ონიანი, ანჩაბაძე, დათვაძე (ცაიდარაშვილი 79), გოგიჩაიშვილი.
**ტორპედო:** გვარამაძე, ხვადაგიანი, მახვილაძე, აბრამიძე, თოდუა, ლევან სილაგაძე, დიდავა, პოროშინი (ცოფიანი 73), იონანიძე, ქუთათელაძე (ახალკაცი 42), ასათიანი (ბაბუნაშვილი 56).
*გოლები:* 1-0 დათვაძე (21), 1-1 ქუთათელაძე (22).
*მსაჯი:* მ. მალაღურაძე (თბილისი).

პირველი ეტაპის მეორე წრე ლიდერთა შერკინებით დაიწყო. შეებრძოლა ერთმანეთს ორი მოწინავე გუნდი და მატჩმაც, ასე თუ ისე, მოლოდინი გაამართლა. დასაზვერი, არც მასპინძელს, არც სტუმარს არაფერი ჰქონდა, მეტოქენი ურთიერთს მშვენივრად იცნობდნენ და თავიდანვე შეტევა-ზე დაიწყეს ფიქრი. დასაწყისში განვითარებულ პოზიციურ თამაშში, თანდათან რკინიგზელთა ტერიტორიული უპირატესობა გამოიკვეთა. ტორპედოელთა უკრაინელ თავდამსხმელს პოროშინს მეურვეები გასაქანს არ აძლევდნენ, საკმაოდ ხისტადაც ეთამაშებოდნენ, ამიტომ განსაკუთრებულ ხიფათს სტუმრები ვერ ქმნიდნენ. მეტოქის კარისკენ პირველი დარტყმა ანჩაბაძემ შეასრულა, მერე სალუქვაძის ნახევარბრუნით დარტყმულ ბურთს გვარამაძე დაეუფლა. რამდენიმე წუთში „ლოკომოტივმა" მწვავე იერიში წამოიწყო, რომელიც ჰიჰვეიშვილის თავურით დასრულდა, მაგრამ ჩემპიონი ძელმა იხსნა. 2[illegible]-ე წუთზე ქუთაისელ მცველთა დაბნეულობა ჩინებულად გამოიყენა დათვაძემ, უხეიროდ მოგერიებულ ბურთს ფეხი წაჰკრა, ამჯერად სტუმრები გოლს ვეღარ გადაურჩნენ. თბილისელთა სიხარული ხანმოკლე გამოდგა. „ტორპედომ" თამაში ცენტრიდან განაახლა და ანგარიშიც გაათანაბრა. „ლოკომოტივის" საჯარიმოში ტანმაღალ მცველებს ტანმორჩილმა ქუთათელაძემ აჯობა, მისი თავური ლომაიამ ვეღარ მოიგერია. ტაიმის ბოლოს ყველაზე ნაღდი საგოლე მომენტი პოროშინს ჰქონდა, ქუთაისელთა ლეგიონერი, როგორც იქნა, მეურვეებს დაუსხლტა, ჩაწოდებულ ბურთს თავით მისწვდა, მაგრამ ახლო მანძილიდან დარტყმული მცირედით ააცილა მასპინძელთა კარს.

მეორე ტაიმში ტემპი ცოტათი შენელდა, მაგრამ ორივე გუნდის კართან სახიფათო ეპიზოდები ისევ იქმნებოდა. ჰიჰვეიშვილს, რომელიც „მეორე სართულზე" აშკარად ჯაბნიდა მეტოქეებს, კიდევ ერთხელ არ გაუმართლა, მისი მორიგი თავური კვლავ ძელმა მოიგერია. რკინიგზელთა ნახევარმცველს მესამედ მიეცა თავის გამოჩენის საშუალება ტაიმის ბოლოს, მაგრამ ამჯერად მისი დარტყმული ახლაც ასცდა კარს. მერე ტორპედოელთა ჯერიც დადგა. აბრამიძემ გამოიდო თავი და ერთ ეპიზოდში გოლის გატანაც შეძლო, მაგრამ ახლოდან ბურთი კარს ააცილა. მეტოქეს გოგიჩაიშვილმა უპასუხა, თუმცა გუნდის კაპიტანმა „ლოკომოტივის" დაწინაურება ვერ შეძლო. მატჩის მიწურულს კარგი შანსი ჰქონდათ სტუმრებს, თუმცა ვერც ბაბუნაშვილმა, ვერც დიდავამ კარის ჩარჩოში ბურთი ვერ მოახვედრეს. მოკლედ, თანაბარი ორთაბრძოლა ფრედ დასრულდა. „ტორპედომ" შეინარჩუნა შვიდქულიანი უპირატესობა. „ლოკომოტივმა" კი მიმდინარე ჩემპიონატში პირველად ითამაშა ფრედ.

**საბა ლომინაძე**

## პრეზიდენტის საჩუქრის-თასი ● პრესკონფერენცია

**მიმდინარე წლის 24-28 ოქტომბერს იმართება ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალური ეტაპი საქართველოს პრეზიდენტის თასზე. საფეხბურთო ჩემპიონატი ტარდება იოსებ ნონეშვილის სახელობის საერთაშორისო ბავშვთა ფონდისა და ფეხბურთის ფედერაციის მიერ გაეროს ბავშვთა ფონდის „იუნისეფის" მხარდაჭერით. ფინალურ ტურნირში მონაწილეობენ საქართველოს ავტონომიურ რესპუბლიკებში, მხარეებში და ქ. თბილისში გამარჯვებული 12 გუნდი, რომლებიც გაითამაშებენ საპრიზო ადგილებს და მათ შორის გამარჯვებულს გადაეცემა მთავარი პრიზი – საქართველოს პრეზიდენტის გარდამავალი თასი.**

**გიწვევთ, აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებულ პრესკონფერენციაზე, რომელიც გაიმართება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქართველოს წარმომადგენლობის საკონფერენციო დარბაზში 23 ოქტომბერს, დღეს, 15 საათზე (ერისთავის ქ.9).**

## ტექნიკური შედეგები

**ვიტ ჯორჯია – გორდა 1–1**
**ვიტ ჯორჯია:** მამარდაშვილი, თ. კობიაშვილი, ინწკირველი (ზაზაშვილი 86), ჯ. მუჯირი, თედორაძე, ლაშა ნოზაძე, გოგობერიშვილი, ფეიქრიშვილი (დ. დოლიძე 65), გოჩაშვილი, ადამია, ზ. მეტრეველი.
**გორდა:** ბედიაშვილი, კედელაშვილი (ზ. ლაბაძე 90), ბურნაძე, ბერიძე, გ. მიქაძე, ბალასანიძე, ზვ. ლაბაძე, მელაძე, გოცირიძე (პეტრიაშვილი 46), ჯელაძე, ალადაშვილი (კაპანაძე 86).
*გოლები:* 0-1 მელაძე (12 3), 1-1 გოჩაშვილი (21).
*გააფრთხილეს:* თედორაძე, მელაძე, კედელაშვილი, ბერიძე.
*მსაჯი:* ლ. ფანიაშვილი (თბილისი).

**სიონი – დინამო (თბ) 0–0**
**სიონი:** ვოლკოვი, სიდამონიძე, პაპიძე, მოსეშვილი, სვანიძე, ბარქაია, ბარნოვი, ამბიძე (თარგამაძე 60, გლუნჩაძე 81), დაუშვილი (შაკიაშვილი 69), ისიანი, მინაშვილი.
**დინამო:** ზოიძე, სვანაძე, კანდელაკი, ვაშაკიძე, შაშიაშვილი, სახვაძე (შალამბერიძე 77), ამისულაშვილი, ბურდული, დარასელია, გ. მიქაძე (ზირაქიშვილი 46), ბობოხიძე.
*გააფრთხილეს:* დარასელია, ვოლკოვი, კანდელაკი.
*მსაჯი:* ს. კვარაცხელია (ზუგდიდი).

**მერანი – გურია 4–2**
**მერანი:** დევაძე, გოგიტაძე, გუჯაბიძე, ცქიფურიშვილი, დევიძე, დავითაშვილი, ბაჯელიძე (მუხინი 76), გაგუა (გ. ილურიძე 86), ი. შენგელია (კოშკაძე 71), ჭინჭარაული, ბოლქვაძე.
**გურია:** გ. დოლიძე, ებრალიძე (ლ. ჩხაიძე 60), ორბელაძე, გაბრიჭიძე, განევი, კაციაშვილი, ქიქავა (ენდელაძე 56), მარღიშვილი (ნარუაშვილი 63), ხუჭუა, ფაცურია, კ. მეტრეველი.
*გოლები:* 1-0 ბაჯელიძე (10), 1-1 კ. მეტრეველი (15), 2-1 ი. შენგელია (58), 3-1 გაგუა (60), 3-2 ენდელაძე (68), 4-2 გაგუა (80).
*გააფრთხილეს:* გოგიტაძე, გაბრიჭიძე.
*მსაჯი:* კ. მესხი (ზუგდიდი).



მერანი – გურია
ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

**მეტალურგი – დინამო (ბთ) 1–1**
**მეტალურგი:** მერკვილიშვილი, მალაკელიძე, ორმოცაძე, მერებაშვილი, ლონლაძე, სუხიაშვილი (კრავეიშვილი 57, სამხარაძე 89), ფირცხალაიშვილი (ლაშა ხმალაძე 79), მემარნიშვილი, შეყრილაძე, გეწაძე, გურეშიძე.
**დინამო:** ჭანტურია, გ. ჩხაიძე (რომანაძე, 75), მინდაძე, არჩვაძე, ზვ. გვაზავა (დარჩიძე 76), ქაცარავა, ხუჯაძე, მაჭუტაძე, ტუღუში, აფხაზავა, თურმანიძე.
*გოლები:* 1-0 შეყრილაძე (70), 1-1 დარჩიძე (90).
*გააფრთხილეს:* თურმანიძე, ფირცხალაიშვილი.
*მსაჯი:* გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი).

**სამგურალი – კოლხეთი 1913 0–0**

## ფრეების ტური

XII ტურის მიმოხილვა. 20–21 ოქტომბერი

უმაღლეს ლიგაში მეორე წრე უჩვეულოდ დაიწყო. ექვსი მატჩიდან ხუთი ფრედ დამთავრდა, სამ შეხვედრაში მეტოქეებმა თითო გოლი გაიტანეს. მასპინძლებმა ერთადერთი მატჩი მოიგეს, დანარჩენში გამარჯვებული ვერ გამოვლინდა. ყველაზე ყოჩაღი „მერანი" გამოდგა. მშობლიურ ავჭალის „სინათლის" სტადიონზე „გურიას" ოთხი გოლი გაუტანა, თავად ორი გაუშვა, სამი ქულა აიღო და რკინიგზელებსაც მიუახლოვდა. მერანელებმა წინა ტურების ორი მატჩი დათმეს ზედიზედ, საკმაოდ მტკივნეული მარცხი იწვნიეს და ამ გამარჯვებამ, თუნდაც აუტსაიდერთან მათზე მალამოსავით უნდა იმოქმედოს. ბოლნისს ესტუმრა თბილისის „დინამო" და მხოლოდ ერთი ქულის წამოღება შეძლო. კვირას კი იშვიათი რამ მოხდა, ოთხივე მატჩი ფრედ დასრულდა. 1-1 ტურში ყველაზე პოპულარული ანგარიშია. ღვინობის თვეში კიდევ ერთი ტური 27 ოქტომბერს ჩატარდება. 4 ნოემბრიდან 30 ნოემბრამდე ხუთი ტური გაიმართება და მარტამდე ჩემპიონატიც შეწყდება. ფრეთა სიმრავლე და მატჩების სიმწვავეც საშუალედო ფინიშის მოახლოებით შეიძლება აიხსნას, წლის ბოლოს, სამთვიან არდადეგებამდე ყველას სურს ქულათა მარაგის შევსება, სატურნირო ცხრილში კი „თბილი" ადგილის დაბევება.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 12 | 10 | 2 | 0 | 31-6 | 32 |
| ლოკომოტივი | 11 | 8 | 1 | 2 | 22-7 | 25 |
| მერანი | 12 | 7 | 1 | 4 | 22-19 | 22 |
| დინამო (ბთ) | 11 | 5 | 4 | 2 | 14-7 | 19 |
| ვიტ ჯორჯია | 12 | 5 | 4 | 3 | 19-13 | 19 |
| დინამო (თბ) | 12 | 5 | 3 | 4 | 24-12 | 18 |
| კოლხეთი1913 | 12 | 5 | 3 | 4 | 20-19 | 18 |
| სიონი | 12 | 3 | 3 | 6 | 8-19 | 12 |
| სამგურალი | 12 | 2 | 2 | 8 | 8-23 | 8 |
| გურია | 12 | 1 | 5 | 6 | 9-20 | 8 |
| მეტალურგი | 12 | 1 | 4 | 7 | 6-24 | 7 |
| გორდა | 12 | 1 | 4 | 7 | 10-24 | 7 |

XI ტურის გადატანილი მატჩი დინამო (ბათუმი) — ლოკომოტივი ხვალ, 24 ოქტომბერს გაიმართება.

17

UEFA UNDER-17 Championship

17 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

19 ოქტომბერი. „ლოკომოტივის" სტადიონი

## საქართველო — ისრაელი 1–0

**საქართველო:** ჩალაძე, ბარაბაძე, კალაძე, ჭელიძე, მიქიაშვილი, ელიავა (ლონლაძე 76), კვახაძე (ფიფია 77), ხოჯავა (კაციტაძე 60), ყველაშვილი, იაშვილი, კაპანაძე.
**ისრაელი:** ვაჰაბა, მააბი, კოენი, გოლოვი (იეფეტი 65), მაჰლუფი (ტორონტოვი 41), ჰანუკა, ვატური, ვერმოუტი, ტაგა, კადოში, პერეცი (ბარუჩიანი 41)
*გოლი:* 1-0 კვახაძე (31).
*გააფრთხილეს:* ხოჯავა, იაშვილი, კვახაძე, ჭელიძე, მააბი, იეფეტი, ვატური, კოენი.
*მსაჯი:* ე.ს. ალტმაიერი (რუმინეთი).



საქართველო – ისრაელი
ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

## დანიაში მივდივართ...

### პირველსავე ცდაზე ფინალურ ეტაპზე

გავიხარეთ ქართველებმა პარასკევ საღამოს. 17 წლის ყმაწვილთა ნაკრები დანიას მიემგზავრება. აჯობა საქართველოს ნაკრებმა ბოსნიელ და ებრაელ თანატოლ მეტოქეებს, ორივეს მოუგო და გაისად სკანდინავიაში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებს. კობა ჟორჟიკაშვილის, მისი კოლეგებისა და შეგირდების შრომას უკვალოდ არ ჩაუვლია. ქართველი ჭაბუკები ევრო-

იხ. მე-5 გვ.



**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია იუწყება, რომ გარდაიცვალა თბილისის „დინამოსა" და თბილისის „სპარტაკის" 50-იანი წლების ვეტერანი ფეხბურთელი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების ვერცხლის მედლის ორგზის მფლობელი (1951, 1953 წწ).**
**კონსტანტინე (კარლო) გაგნიძე**
**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

პანაშვიდი, 23-24 ოქტომბერს 16 საათზე. დაკრძალვა, ხუთშაბათს, 25 ოქტომბერს 14 საათზე. მისამართი: მერკვილაძის (მაზმიაშვილის) 33, II სადარბაზო.

**ახალგაზრდა საფეხბურთო სკოლის კოლექტივი ღრმა მწუხარებას გამოთქვამს კოლეგის, ბავშვთა ფეხბურთის ამაგდარის**
**ჯუმბერ თანანაშვილის**
**ტრაგიკულად დაღუპვის გამო**
**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

# დანიაში მივდივართ...

*(მეოთხე გვერდიდან)*


საქართველო – ისრაელი
ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

 პის 16 საუკეთესო ნაკრებთა ქიდილში აპრილ-მაისში ჩაებმებიან. რევაზ გაგუას და ვახტანგ კოპალეიშვილს, რომელთაც სხვადასხვა წლებში შესაბამისად 16 და 18 წლის ჭაბუკთა ნაკრები ათამაშეს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, ახლა კობა ჟორჟიკაშვილის 17 წლამდელთა გუნდი მიემატა. სანაკრებო დონეზე საქართველო მესამედ იასპარეზებს ევროპული მაღალი რანგის ტურნირში. კარგად დაწყებულ საქმეს სათანადო გაგრძელება სჭირდება, მიღწეულით არ დავკმაყოფილდეთ, გუნდს შეუძლია უკეთ თამაში, მოსამზადებლადაც საკმაო დროა და გვჯერა ჩვენს ყმაწვილებს დანიაში ადვილად ვერავინ დაჩაგრავს. მთავარი მწვრთნელის მიერ, ისრაელის ნაკრებთან მატჩის წინ გაცხადებულმა, რომ ფრეზე თამაში გამორიცხულია და ბიჭები მინდორზე მხოლოდ მოსაგებად გავლენო, ნაკრებზე დადებითად იმოქმედა, რაც შეხვედრის საბოლოო ანგარიშზე ნათლად აისახა. ხოჯავა-კვახაძის შეტევას ებრაელთა კარში გოლი მოჰყვა, რაც სრულიად საკმარისი აღმოჩნდა მასპინძელთა უპირატესობის დასამტკიცებლად. თბილისში მესამედ ჩატარდა საერთაშორისო შეჯიბრება, „ლოკომოტივზე" კი ოთხი სანაკრებო მატჩი გამართეს ქართველებმა და ოთხივე მოიგეს. მადლიანი მარჯვენით აშენებული რკინიგზელთა სტადიონი ბედნიერი გამოდგა ეროვნული ნაკრებისთვისაც და მათი უმცროსი კოლეგებისთვისაც. მაინც რამ განაპირობა ქართველ ჭაბუკთა ეს წარმატება? უეჭველია, არა მარტო შინაურმა სარბიელმა და გარემომ. ჩვენ მეტოქეებზე უკეთესი გუნდი გვყავდა, სტაბილური შემადგენლობით და ინდივიდუალურად ძლიერი ფეხბურთელებით, დაცვის მცირე ხარვეზებს დროულად ავსებდა შუახაზისა და თავდასხმის მიზანმიმართული, გამართული თამაში. სანდრო იაშვილი და კაპიტანი ლაშა ჭელიძეს გუნდის უდავო ლიდერები არიან. სელექცია გაგრძელდება, ნაკრები გაძლიერდება, ამის პოტენცია გუნდს აქვს და მთავარ მწვრთნელსაც თავისი ბიჭების ეიმედება არც თუ უსაფუძვლოდ.

**საბოლოო ცხრილი**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | 6 |
| ისრაელი | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| ბოსნია | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |

**ფინალურ ტურნირამდე ჯერ შორია, მაგრამ უპრიანი იქნებოდა და გულშემატკივრებისთვის საინტერესო, გავეცნობოდით ჩვენს პოტენციურ მეტოქეებს. ჩვენი მეათე ჯგუფის მსგავსად, ასპარეზობები დასრულდა პირველ, მეორე, მეექვსე, მერვე და მეთერთმეტე ჯგუფებში. დანიაში ფინალურ ეტაპზე მასპინძლებთან და ქართველებთან ერთად ითამაშებენ: ჩეხი, უნგრელი, უკრაინელი და პოლონელი ჭაბუკები. დარჩენილ 10 შესარჩევ ჯგუფებში მატჩები მოგვიანებით დაიწყება.**

**16 წლამდელთა, ახლა უკვე 17 წლამდელთა (ფაქტობრივად, პირველად ტარდება) ევროპის ჭაბუკთა პირველობა, დანიაში, მეოცედ გაიმართება, მანამდე ჩემპიონის ყველაზე მეტი ტიტული ესპანეთმა (6-ჯერ) მოიპოვა. 4-ჯერ პორტუგალია იყო ჩემპიონი.**

## ყველა ჩემპიონატის ფინალი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 07.05.82 | ფალკონარა | იტალია | – | გფრ | 1-0 | |
| 05.05.84 | ულმი | გფრ | – | სსრკ | 2-0 | |
| 26.05.85 | ბუდაპეშტი | სსრკ | – | საბერძნეთი | 4-0 | |
| 10.05.86 | აოენი | ესპანეთი | – | იტალია | 2-1 | |
| 03.06.87 | პარიზი | იტალია | – | სსრკ | 1-0 * | |
| 21.05.88 | მადრიდი | ესპანეთი | – | პორტუგალია | 0-0, | პენ 4-2 |
| 14.05.89 | ველე | პორტუგალია | – | გფრ | 4-1 | |
| 27.05.90 | ერფურტი | ჩეხოსლოვაკია | – | იუგოსლავია | 3-2 | დდ. |
| 18.05.91 | ბერნი | ესპანეთი | – | გერმანია | 2-0 | |
| 17.05.92 | ლარნაკა | გერმანია | – | ესპანეთი | 2-1 | |
| 08.05.93 | სტამბული | პოლონეთი | – | იტალია | 1-0 | |
| 08.05.94 | დუბლინი | თურქეთი | – | დანია | 1-0 | |
| 06.05.95 | ბრიუსელი | პორტუგალია | – | ესპანეთი | 2-0 | |
| 11.05.96 | ვენა | პორტუგალია | – | საფრანგეთი | 1-0 | |
| 10.05.97 | კელე | ესპანეთი | – | ავსტრია | 0-0, | პენ 5-4 |
| 08.05.98 | პერტი | ირლანდია | – | იტალია | 2-1 | |
| 07.05.99 | ოლომოუცი | ესპანეთი | – | პოლონეთი | 4-1 | |
| 14.05.00 | თელ-ავივი | პორტუგალია | – | ჩეხეთი | 2-1 | დდ. |
| 06.05.01 | სანდერლენდი | ესპანეთი | – | საფრანგეთი | 1-0 | |
| აპრილ-მაისი 02 | | დანია | | | | |

*სსრკ-ს ჩაეთვალა მოგება 3-0, მაგრამ ჩემპიონობა არ მიეკუთვნა.

# ნომრიდან ნომრამდე

● **როი კინი შეიძლება გახდეს ინგლისის ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი, თუ ის ხელს მოაწერს კონტრაქტს „მანჩესტერ იუნაიტედთან". ეს გარიგება თუ შედგა, კინი მიიღებს ნავარაუდევ 90 ათას ფუნტ სტერლინგს კვირაში. ირლანდიელი ნახევარმცველი ახლა 30 წლისაა. სამწლიანი კონტრაქტით კინი სულ მიიღებს 14 მილიონ ფუნტ სტერლინგს. ამ გარიგებით საბოლოოდ მოეღება ბოლო გავრცელებულ ხმებს, თითქოს კინი მწვრთნელ ფერგიუსონთან ერთად აპირებდა გუნდიდან წასვლას სეზონის დამთავრების შემდეგ.**

● **საფრანგეთის** საფეხბურთო ნაკრებს 11 ნოემბერს ამხანაგური მატჩი ელოდება ავსტრალიაში ამ ქვეყნის ნაკრებთან. უსაფრთხოების სრული გარანტიის უზრუნველსაყოფად, როგორც იუწყებიან, საფრანგეთის ნაკრებმა მთელი დელეგაციისთვის ცალკე თვითმფრინავი აიღო იჯარით.

● **„ყველაფერი დასრულდა და იწყება კოშმარი" — განაცხადა „ფიორენტინის" მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ. როგორც ცნობილია, ეს კლუბი თავის ისტორიაში არნახულ კრიზისს განიცდის. უიმედობას უიმედობა მოსდევს, კლუბს ახლა მხოლოდ 6 ქულა აქვს და თუ ასე გაგრძელდა სერია B-ში გადაბარგება ემუქრება. ამ საშინელ სიზმარს მწვრთნელი ყოველ ღამე ხედავს, მაგრამ იგი უმწეოა. მისი განწირული ხმა არავის ესმის. მწვრთნელის ბოლო იმედი მაშინ მოკვდა, როცა მისმა გუნდმა „ვერონასთან" წააგო 0-2.**

**„ჩვენ გვინდა შემწეობა. ახლა სად ხართ, ვისაც ასე გეწადათ კლუბის შეძენა. ახლა მე გყვირიგარ „ფიორენტინა" იყიდება!" — აცხადებს კლუბის პრეზიდენტი ჯოვანი ლუნა.**

● **ათასობით** ირანელმა ფეხბურთის ქომაგმა რბევა მოაწყო თეირანის ქუჩებში მას შემდეგ, რაც ამ ქვეყნის ნაკრებმა კვირას, 2000 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი წააგო ბახრეინის ნაკრებთან 1-3. თვითმხილველთა გადმოცემით, გულშემატკივრები განსაკუთრებით აღაშფოთა გავრცელებულმა ხმებმა იმის შესახებ, რომ თითქოს ირანელი ფეხბურთელები ხელისუფლების წნეხის ქვეშ იყვნენ, რათა მათ დაეთმოთ მატჩი სტუმრებისთვის, ვითომდა ირანის ხელისუფლებას ირანელთა გამარჯვების შემთხვევაში, წარმატებით აღტყინებული ბრბოს შიში ჰქონდა.



განრისხებულმა ხალხმა ქუჩებში ყველაფერი დალეწა, დაარბია მაღაზიები, ბანკები, სამთავრობო დაწესებულებები, ამასთან, ჩხუბი გამართეს პოლიციელებთან.

10 დღის წინათ თეირანში შფოთიანი გამოსვლებით აღინიშნა ირანის ნაკრების გამარჯვება ერაყელებთან. პოლიციას მაშინ ძალიან გაუძნელდა 20 ათასიანი ბრბოს დაწყნარება. იმ დღეს 350 გულშემატკივარი დააპატიმრეს.

● **რიკელმე იტალიაში გადადის — ეს ხმები სულ უფრო დამაჯერებლად ჟღერს ბოლო ხანებში, მაგრამ რამდენად რეალურია იგი, ანდა, საერთოდ, რას უკავშირდება ამ ფეხბურთელის მაინცდამაინც იტალიაში გადასვლა, როცა არგენტინელის შეძენის სურვილი მსოფლიოს არაერთ სახელოვან კლუბს სურს? პასუხი ამ კითხვაზე, ექსპერტების აზრით, ერთადერთია — დიდი ფული!**


რიკელმე

**კერძოდ, ვინ შეიძენს რიკელმეს? თუ ჯიბის შესაძლებლობებით ვიმსჯელებთ, ყველაზე მეტი შანსი უნდა გააჩნდეს „იუვენტუსს" და „მილანს". „იუვენტუსს" საგანგებო გეგმის ორი ვარიანტიც შეუმუშავებია არგენტინელის შესაძენად, რომელთაგან ერთ-ერთი გაცვლა-გამოცვლის ვარიანტსაც გულისხმობს.**

● **„მონაკოს"** მწვრთნელის დიდიე დეშამის აუტანელი ხასიათის მორიგი მსხვერპლი გახდა არგენტინის ნაკრების ვეტერანი მარსელო გალიარდო. კონფლიქტი წარმოიშვა მას შემდეგ, რაც მწვრთნელმა გადაწყვიტა არგენტინელი არ გამოეყვანა ძირითად შემადგენლობაში ერთ-ერთ ბოლო მატჩში. განაწყენებულმა მარსელომ მწვრთნელს უთხრა, რომ რაკი ასეა, მომავალშიც ნუ ექნება მისი იმედი. ეს პირველი შემთხვევა არაა, როცა დეშამი თავისი მოუქნელობით კონფლიქტში ითრევს ფეხბურთელებს. ადრე — მანუჩინი და სიმონე, ახლა გალიარდო, ფეხბურთელი, რომელიც არგენტინისა და საფრანგეთის სიამაყეა. შეგახსენებთ, რომ 2000 წელს გალიარდო საფრანგეთის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

● **კახი კალაძემ განაცხადა, რომ ხმები „მილანიდან" მისი სხვაგან გადასვლის შესახებ ალბათ, საბოლოოდ გაიფანტება მას შემდეგ, რაც იგი უკვე გუნდის ძირითად შემადგენლობაში ითამაშა „ინტერის" წინააღმდეგ. ამ მატჩის შემდეგ კალაძე თვითკრიტიკული იყო, მაგრამ დასძინა, რომ „ინტერთან" მატჩი ტრადიციულად მძიმეა, დიდი იყო გამარჯვების სურვილი და ამან ემოციურად იმოქმედა ფეხბურთელებზე.**

## პირველი ლიგა

### XII ტური

ლაზიკა — დილა 2-0
ლოკომოტივი3 — დინამო2 2-0
მილანი — კოლხეთი (ხ) 4-1
ქობულეთი — ლოკომოტივი (სამტრედია) 3-1
თსუ — მერანი2 3-0
თორი — ცხინვალი (გადაიდო)

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 12 | 8 | 3 | 1 | 28-8 | 27 |
| დილა | 12 | 8 | 2 | 2 | 24-5 | 26 |
| ქობულეთი | 12 | 8 | 2 | 2 | 14-7 | 26 |
| თსუ | 12 | 7 | 2 | 3 | 18-9 | 23 |
| ლოკომოტივი3 | 12 | 5 | 4 | 3 | 20-15 | 19 |
| დინამო (თბ) | 12 | 5 | 1 | 6 | 11-13 | 16 |
| ლაზიკა | 12 | 4 | 3 | 5 | 14-21 | 15 |
| ცხინვალი | 11 | 4 | 2 | 5 | 18-16 | 14 |
| კოლხეთი (ხ) | 12 | 2 | 6 | 4 | 10-14 | 12 |
| ლოკომ.(სამტრ) | 12 | 2 | 3 | 7 | 10-21 | 9 |
| მერანი-2 | 12 | 2 | 1 | 9 | 6-23 | 7 |
| თორი | 11 | 1 | 1 | 9 | 7-28 | 4 |

# რეგიონული ლიგა

## აღმოსავლეთის ზონა

### X ტური

თბილისი — მრეტები 4-3
კრწანისი — მერანი3 3-0
ჭაბუკიანი — მაუდი 0-0
ჯავახი — მცხეთა 0-3
მესხეთი — დინამო3 2-1
აკადემია — ივერია 2-1
ალაზანი — ზოოვეტი 2-0
გორდა2 — ვიტ ჯორჯია2 0-2
ცხუმი — ლიახვი 0-1
ვარძია — ოლიმპიკი 1-0

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალაზანი | 9 | 7 | 1 | 1 | 25-10 | 22 |
| მცხეთა | 9 | 7 | 1 | 1 | 19-5 | 22 |
| ივერია | 9 | 6 | 1 | 2 | 25-13 | 19 |
| ზოოვეტი | 8 | 6 | 0 | 2 | 17-7 | 18 |
| აკადემია | 9 | 5 | 2 | 2 | 16-8 | 17 |
| ვარძია | 9 | 5 | 2 | 2 | 11-5 | 17 |
| მაუდი | 8 | 5 | 2 | 1 | 10-4 | 17 |
| ვიტ ჯორჯია2 | 9 | 4 | 4 | 1 | 23-7 | 16 |
| ლიახვი | 9 | 4 | 1 | 4 | 12-16 | 13 |
| გორდა2 | 9 | 3 | 2 | 4 | 14-10 | 11 |
| ოლიმპიკი | 8 | 3 | 2 | 3 | 12-9 | 11 |
| თბილისი | 9 | 3 | 1 | 5 | 15-18 | 10 |
| მესხეთი | 9 | 3 | 1 | 5 | 8-15 | 10 |
| ცხუმი | 9 | 2 | 3 | 4 | 12-10 | 9 |
| ჭაბუკიანი | 8 | 1 | 6 | 1 | 8-6 | 9 |
| დინამო3 | 8 | 2 | 2 | 4 | 9-11 | 8 |
| კრწანისი | 9 | 2 | 1 | 6 | 11-23 | 7 |
| მერანი3 | 9 | 2 | 1 | 6 | 8-23 | 7 |
| მრეტები | 8 | 0 | 1 | 7 | 9-21 | 1 |
| ჯავახი | 9 | 0 | 0 | 9 | 7-50 | 0 |

## დასავლეთის ზონა

### XI ტური

დინამო (სოხ) — საპოვნელა 1-3
სამეგრელო — მერცხალი 1-3
გურია2 — ინტერი 3-1
დინამო (ზ) — სქური 2-0
ოკრიბა — საირმე 0-1
ეგრისი — ჩიხურა 1-0
გზები — სალხინო 3-1
მალაროელი — ლუკა 6-0
სულორი — დინამო2 4-0

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერცხალი | 11 | 10 | 1 | 0 | 25-5 | 31 |
| სულორი | 11 | 10 | 0 | 1 | 32-9 | 30 |
| დინამო (ზ) | 11 | 9 | 1 | 1 | 23-7 | 28 |
| გურია2 | 11 | 8 | 1 | 2 | 32-9 | 25 |
| საპოვნელა | 11 | 6 | 3 | 2 | 29-13 | 21 |
| სალხინო | 11 | 7 | 0 | 4 | 18-16 | 21 |
| კოლხეთი2 | 10 | 5 | 3 | 2 | 19-11 | 18 |
| მეტალურგი2 | 10 | 5 | 2 | 3 | 14-12 | 17 |
| მალაროელი | 11 | 5 | 1 | 5 | 23-19 | 16 |
| ინტერი | 11 | 5 | 1 | 5 | 16-12 | 16 |
| ეგრისი | 11 | 5 | 1 | 5 | 20-21 | 16 |
| სქური | 11 | 5 | 1 | 5 | 17-23 | 16 |
| საირმე | 11 | 4 | 1 | 6 | 10-10 | 13 |
| გზები | 11 | 4 | 0 | 7 | 11-22 | 12 |
| სამეგრელო | 11 | 3 | 1 | 7 | 15-25 | 10 |
| დინამო2 | 11 | 2 | 2 | 7 | 7-16 | 8 |
| ჩიხურა | 11 | 2 | 1 | 8 | 9-26 | 7 |
| ლუკა | 11 | 2 | 0 | 9 | 9-33 | 6 |
| დინამო (სოხ) | 11 | 1 | 2 | 8 | 9-24 | 5 |
| ოკრიბა | 11 | 0 | 0 | 11 | 3-28 | 0 |



საქართველოს თასი

## მერვედფინალის კენჭისყრა

გორდა (რუსთავი) — ქობულეთი
თსუ — მეტალურგი (ზესტაფონი)
გურია (ლანჩხუთი) — მილანი (წნორი)
ლოკომოტივი (თბილისი) — დილა (გორი)
სამგურალი (წყალტუბო) — ვიტ ჯორჯია (თბილისი)
დინამო (თბილისი) — სიონი (ბოლნისი)
დინამო (ბათუმი) — კოლხეთი 1913 (ფოთი)
მერანი (თბილისი) — ტორპედო (ქუთაისი)

*პირველი მატჩები გაიმართება 31 ოქტომბერს და 15 საათზე დაიწყება, საპასუხო 13 ნოემბერს ჩატარდება.*

## თქვენთვის, ერუდიტებო!

***1. ვინ იყო 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ინგლისის ნაკრების კაპიტანი:***
ა) ჩარლტონი
ბ) მური
გ) ჰერსტი

***2. ვინ იყო 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩის მსაჯი:***
ა) დინსტი
ბ) დაგნალი
გ) შვინტე

***3. რამდენი მაყურებელი დაესწრო 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ შეხვედრას:***
ა) 73 000
ბ) 98 000
გ) 106 000

***4. 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში (ინგლისი — პორტუგალია 2-1) ვინ შეასრულა „დუბლი" ინგლისელთა მხრიდან:***
ა) ჩარლტონი
ბ) ჰერსტი
გ) პიტერსი

***5. 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირის მატჩში (ჩილე — სსრკ 1-2) ვინ შეასრულა „დუბლი" სსრკ-ს ნაკრებიდან:***
ა) მეტრეველი
ბ) პარკუიანი
გ) მარქაროვი.

წინა ნომრის პასუხები:
1 — ბ, 2 — გ, 3 — ა, 4 — ბ, 5 — ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები

## გერმანია

ბაიერნი — კაიზერი 4-1
ჰერტა — ვერდერი 3-1
ნიურნბერგი — მიონხენგლადბახი 1-2
სტ. პაული — კოტბუსი 4-0
ლევერკუზენი — შტუტგარტი 4-1
შალკე — მიუნხენი 1-0
ჰანზა — კიოლნი 3-0
ვოლფსბურგი — ჰამბურგი 0-1
დორტმუნდი — ფრაიბურგი 0-2

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 10 | 8 | 1 | 1 | 25-4 | 25 |
| ლევერკუზენი | 10 | 7 | 3 | 0 | 25-11 | 24 |
| კაიზერი | 10 | 8 | 0 | 2 | 24-14 | 24 |
| დორტმუნდი | 10 | 6 | 1 | 3 | 15-8 | 19 |
| შალკე | 10 | 5 | 2 | 3 | 12-12 | 17 |
| შტუტგარტი | 10 | 4 | 3 | 3 | 12-13 | 15 |
| ვერდერი | 10 | 4 | 2 | 4 | 15-14 | 14 |
| ჰერტა | 10 | 4 | 2 | 4 | 14-16 | 14 |
| ჰამბურგი | 10 | 3 | 3 | 4 | 14-14 | 12 |
| მიონხენგლადბახი | 10 | 3 | 3 | 4 | 13-13 | 12 |
| ფრაიბურგი | 10 | 3 | 3 | 4 | 13-14 | 12 |
| კოტბუსი | 10 | 3 | 2 | 5 | 12-20 | 11 |
| მიუნხენი | 10 | 3 | 2 | 5 | 11-19 | 11 |
| ვოლფსბურგი | 10 | 2 | 3 | 5 | 13-16 | 9 |
| ჰანზა | 10 | 2 | 3 | 5 | 10-16 | 9 |
| კიოლნი | 10 | 2 | 2 | 6 | 7-18 | 8 |
| სტ. პაული | 10 | 1 | 4 | 5 | 11-15 | 7 |
| ნიურნბერგი | 10 | 2 | 1 | 7 | 7-16 | 7 |

## ინგლისი

არსენალი — ბლექბერნი3-3
დერბი — ჩარლტონი 1-1
ევერტონი — ასტონ ვილა 3-2
ლესტერი — ლივერპული 1-4
მანჩესტერი — ბოლტონი 1-2
ფულემი — იფსვიჩი 1-1
ნიუკასლი — ტოტენჰემი 0-2
ლიდსი — ჩელსი 0-0
ვესტ ჰემი — საუთჰემპტონი 2-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიდსი | 9 | 5 | 4 | 0 | 12-3 | 19 |
| არსენალი | 9 | 5 | 3 | 1 | 21-8 | 18 |
| მანჩესტერი | 9 | 5 | 2 | 2 | 26-16 | 17 |
| ლივერპული | 8 | 5 | 1 | 2 | 15-9 | 16 |
| ასტონ ვილა | 8 | 4 | 3 | 1 | 13-6 | 15 |
| ბოლტონი | 10 | 4 | 3 | 3 | 12-11 | 15 |
| ჩელსი | 8 | 3 | 5 | 0 | 12-7 | 14 |
| ევერტონი | 9 | 4 | 2 | 3 | 15-12 | 14 |
| ტოტენჰემი | 10 | 4 | 2 | 4 | 16-14 | 14 |
| ნიუკასლი | 9 | 4 | 2 | 3 | 15-13 | 14 |
| ბლექბერნი | 10 | 3 | 4 | 3 | 18-14 | 13 |
| სანდერლენდი | 9 | 3 | 3 | 3 | 9-10 | 12 |
| ჩარლტონი | 8 | 2 | 4 | 2 | 8-8 | 10 |
| ფულემი | 9 | 1 | 5 | 3 | 8-11 | 8 |
| მიდლსბრო | 9 | 2 | 2 | 5 | 8-17 | 8 |
| ვესტჰემი | 8 | 2 | 2 | 4 | 7-16 | 8 |
| იფსვიჩი | 9 | 1 | 4 | 4 | 7-12 | 7 |
| დერბი | 9 | 1 | 3 | 5 | 7-16 | 6 |
| საუთჰემპტონი | 8 | 2 | 0 | 6 | 5-14 | 6 |
| ლესტერი | 10 | 1 | 2 | 7 | 6-23 | 5 |

## საფრანგეთი

ლიონი — სოშო 1-1
ბასტია — რენი 1-2
გენგამი — მონაკო 2-1
ლანსი — მონპელიე 2-0
მარსელი — ლილი 0-0
ნანტი — ოსერი 2-2


მარსელი — ლილი

ბორდო — მეცი 1-0
ტრუა — ლორიანი 4-2
სედანი — პსჟ 1-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანსი | 11 | 7 | 3 | 1 | 19-10 | 24 |
| ლილი | 11 | 6 | 5 | 0 | 12-5 | 23 |
| ლიონი | 11 | 6 | 3 | 2 | 20-9 | 21 |
| ოსერი | 11 | 5 | 5 | 1 | 18-11 | 20 |
| სოშო | 11 | 5 | 4 | 2 | 19-13 | 19 |
| ტრუა | 11 | 5 | 2 | 4 | 15-12 | 17 |
| ბორდო | 11 | 4 | 5 | 2 | 7-4 | 17 |
| პსჟ | 11 | 3 | 7 | 1 | 14-10 | 16 |
| გენგამი | 11 | 4 | 2 | 5 | 9-15 | 14 |
| რენი | 11 | 4 | 2 | 5 | 12-20 | 14 |
| ბასტია | 11 | 4 | 1 | 6 | 10-14 | 13 |
| მონაკო | 11 | 3 | 3 | 5 | 10-11 | 12 |
| ლორიანი | 11 | 3 | 3 | 5 | 15-18 | 12 |
| მარსელი | 11 | 2 | 5 | 4 | 6-7 | 11 |
| მეცი | 11 | 3 | 1 | 7 | 6-12 | 10 |
| მონპელიე | 11 | 1 | 6 | 4 | 6-9 | 9 |
| სედანი | 11 | 1 | 5 | 5 | 9-16 | 8 |
| ნანტი | 11 | 0 | 4 | 7 | 6-17 | 4 |

## იტალია

ბოლონია — იუვენტუსი0-0
ატალანტა — უდინეზე 1-5
კიევო — პარმა 1-0
ფიორენტინა — ვერონა 0-2
პიაჩენცა — ბრეშა 0-1
რომა — ლეჩე 5-1
ტორინო — პერუჯა 1-0
ვენეცია — ლაციო 0-0
ინტერი — მილანი 2-4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიევო | 7 | 5 | 1 | 1 | 15-8 | 16 |
| მილანი | 7 | 4 | 2 | 1 | 17-11 | 14 |
| ინტერი | 7 | 4 | 2 | 1 | 13-9 | 14 |
| ბოლონია | 7 | 4 | 1 | 2 | 4-3 | 13 |
| იუვენტუსი | 7 | 3 | 3 | 1 | 12-7 | 12 |
| რომა | 7 | 3 | 3 | 1 | 11-6 | 12 |
| ვერონა | 7 | 3 | 2 | 2 | 7-5 | 11 |
| ბრეშა | 7 | 2 | 4 | 1 | 12-10 | 10 |
| უდინეზე | 7 | 2 | 3 | 2 | 13-10 | 9 |
| ლეჩე | 7 | 2 | 3 | 2 | 10-11 | 9 |
| პიაჩენცა | 7 | 2 | 2 | 3 | 11-11 | 8 |
| ლაციო | 7 | 1 | 5 | 2 | 3-3 | 8 |
| პარმა | 7 | 1 | 4 | 3 | 6-7 | 7 |
| პერუჯა | 7 | 1 | 3 | 3 | 6-9 | 6 |
| ტორონტო | 7 | 1 | 3 | 3 | 8-12 | 6 |
| ფიორენტინა | 7 | 2 | 0 | 5 | 10-17 | 6 |
| ატალანტა | 7 | 1 | 1 | 5 | 6-16 | 4 |
| ვენეცია | 7 | 0 | 2 | 5 | 3-12 | 2 |


ბაიერნი — კაიზერსლაუტერნი

## ესპანეთი

სოსიედადი — ოსასუნა 2-1
მალიორკა — რაიო 3-0
დეპორტივო — სევილია 1-0
მალაგა — ბარსელონა 1-1
ბეტისი — ვილიარეალი 1-1
ლას პალმასი — ბილბაო 1-1
ვალიადოლიდი — ალავესი 1-3
ვალენსია — სარაგოსა 2-0
ესპანიოლი — ტენერიფე 2-0
რეალი — სელტა 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეპორტივო | 9 | 6 | 2 | 1 | 17-9 | 20 |
| სელტა | 9 | 4 | 5 | 0 | 17-7 | 17 |
| ბეტისი | 9 | 5 | 2 | 2 | 13-8 | 17 |
| ვალენსია | 9 | 4 | 5 | 0 | 11-6 | 17 |
| ბარსელონა | 9 | 4 | 4 | 1 | 14-7 | 16 |
| ალავესი | 9 | 4 | 3 | 2 | 10-5 | 15 |
| ვილიარეალი | 9 | 4 | 2 | 3 | 10-8 | 14 |
| ესპანიოლი | 9 | 4 | 1 | 4 | 12-15 | 13 |
| სევილია | 9 | 3 | 3 | 3 | 14-13 | 12 |
| ბილბაო | 9 | 3 | 3 | 3 | 11-13 | 12 |
| ლ. პალმასი | 9 | 3 | 2 | 4 | 10-7 | 11 |
| სარაგოსა | 9 | 3 | 2 | 4 | 9-11 | 11 |
| ვალიადოლიდი | 9 | 3 | 2 | 4 | 11-15 | 11 |
| ოსასუნა | 9 | 3 | 2 | 4 | 5-11 | 11 |
| რეალი | 9 | 2 | 4 | 3 | 14-13 | 10 |
| მალაგა | 9 | 2 | 4 | 3 | 11-12 | 10 |
| ტენერიფე | 9 | 3 | 1 | 5 | 7-12 | 10 |
| მალიორკა | 9 | 2 | 2 | 5 | 6-12 | 8 |
| სოსიედადი | 9 | 1 | 2 | 6 | 9-17 | 5 |
| რაიო | 9 | 1 | 1 | 7 | 8-18 | 4 |

## ჰოლანდია

პსვ — გრაათფსხაპი 4-0
ტილბურგი — ვალვაიკი 3-1
ალკმაარი — ფეიენოორდი 1-3
ვიტესი — ბრედა 1-0
სპარტა — როდა 0-4
დენ ბოსხი — უტრეხტი 1-1
გრონინგენი — ჰერენვენი 1-1
ნაიმეგენი — ტვენტე 2-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 8 | 7 | 1 | 0 | 20-3 | 22 |
| ფეიენოორდი | 8 | 6 | 1 | 1 | 17-3 | 19 |
| ვიტესი | 10 | 6 | 3 | 1 | 10-3 | 21 |
| უტრეხტი | 10 | 5 | 1 | 4 | 16-11 | 16 |
| ტილბურგი | 10 | 4 | 4 | 2 | 16-12 | 16 |
| ჰერენვენი | 9 | 4 | 3 | 2 | 17-8 | 15 |
| პსვ | 10 | 4 | 2 | 4 | 16-16 | 14 |
| ნაიმეგენი | 10 | 4 | 2 | 4 | 10-16 | 14 |
| ვალვაიკი | 10 | 4 | 1 | 5 | 11-10 | 13 |
| გრააფსხაპი | 10 | 4 | 1 | 5 | 14-17 | 13 |
| დენ ბოსხი | 10 | 2 | 6 | 2 | 12-11 | 12 |
| ბრედა | 10 | 3 | 3 | 4 | 12-17 | 12 |
| ალკმაარი | 10 | 3 | 2 | 5 | 11-14 | 11 |
| სპარტა | 10 | 2 | 4 | 4 | 10-22 | 10 |
| ტვენტე | 9 | 2 | 3 | 4 | 10-15 | 9 |
| გრონინგენი | 10 | 2 | 2 | 6 | 9-17 | 8 |
| როდა | 10 | 2 | 1 | 7 | 11-17 | 7 |
| სიტარდი | 8 | 1 | 2 | 5 | 8-17 | 5 |

## თურქეთი

დიარბაქარი — ანკარაგიურჯუ 2-1
ისთანბული — სამსუნი 0-1
ტრაბზონი — იოზგათი 2-0
ფენერბახჩე — ანთალია 3-2
გაზიანთეფი — მალათია 1-0
გიოზთეფე — დენიზლი 1-1
გენჩლერბირ. — რიზე 2-2
ბეშიქთაში — გალათასარაი 2-2
ბურსა — ქოჯაელი 2-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 9 | 7 | 2 | 0 | 23-9 | 23 |
| ისთანბული | 9 | 7 | 1 | 1 | 9-3 | 22 |
| ფენერბახჩე | 9 | 6 | 1 | 2 | 18-11 | 19 |
| ქოჯაელი | 9 | 4 | 3 | 2 | 15-10 | 15 |
| გიოზთეფე | 9 | 4 | 3 | 2 | 10-10 | 15 |
| ბეშიქთაში | 9 | 4 | 2 | 3 | 21-15 | 14 |
| გაზიანთეფი | 9 | 4 | 2 | 3 | 11-10 | 14 |
| ტრაბზონი | 9 | 4 | 1 | 4 | 16-12 | 13 |
| ბურსა | 9 | 4 | 1 | 4 | 10-6 | 13 |
| დენიზლი | 9 | 3 | 2 | 4 | 16-9 | 11 |
| სამსუნი | 9 | 3 | 2 | 4 | 10-13 | 11 |
| ანთალია | 9 | 3 | 2 | 4 | 15-23 | 11 |
| გენჩლერბირ. | 9 | 2 | 4 | 3 | 19-20. | 10 |
| რიზე | 9 | 2 | 3 | 4 | 13-16 | 9 |
| დიარბაქარი | 9 | 2 | 2 | 5 | 14-19 | 8 |
| იოზგათი | 9 | 2 | 2 | 5 | 9-17 | 8 |
| ანკარა | 9 | 2 | 1 | 6 | 24-21 | 7 |
| მალათია | 9 | 1 | 0 | 8 | 4-22 | 3 |

## ჩეხეთი

სიგმა — ქიჩკოვი 0-2
სპარტა — ბანიკი 4-0
ბოჰემიანსი — პრ. კრალოვე 2-2
სინოტი — ბრნო 1-2
ბლშანი — ტეპლიცე 1-3
ოპავა — იაბლონეცი 1-0
პრჟიბრამი — დრნოვიცე 1-0
ლიბერეცი — სლავია 2-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 11 | 9 | 0 | 2 | 22-6 | 27 |
| ქიჩკოვი | 11 | 8 | 1 | 2 | 19-7 | 25 |
| ბოჰემიანსი | 11 | 7 | 3 | 1 | 18-6 | 24 |
| ბანიკი | 11 | 6 | 2 | 3 | 19-14 | 20 |
| ლიბერეცი | 11 | 5 | 4 | 2 | 17-11 | 19 |
| სლავია | 11 | 5 | 1 | 5 | 17-16 | 16 |
| ბრნო | 11 | 4 | 4 | 3 | 13-14 | 16 |
| დრნოვიცე | 11 | 4 | 2 | 5 | 15-13 | 14 |
| სინოტი | 11 | 3 | 4 | 4 | 9-13 | 13 |
| პრ. კრალოვე | 11 | 4 | 1 | 6 | 13-23 | 13 |
| იაბლონეცი | 11 | 3 | 3 | 5 | 9-12 | 12 |
| ტეპლიცე | 11 | 3 | 3 | 5 | 13-16 | 12 |
| პრჟიბრამი | 11 | 3 | 2 | 6 | 10-17 | 11 |
| ბლშანი | 11 | 3 | 1 | 7 | 17-22 | 10 |
| სიგმა | 11 | 2 | 4 | 5 | 10-17 | 10 |
| ოპავა | 11 | 1 | 1 | 9 | 8-22 | 4 |

## ბელგია

ანდერლეხტი — შარლერუა 2-1
გენკი — ლომელი 4-2
ლოკერენი — მუსკრონი 2-1
ანტვერპენი — მოლენბეკი 1-2
ლიერსი — გენტი 1-2
ბრიუგე — აალსტი [illegible]-0
ბევერენი — სტ. ტრუიდენი 3-2
ლუვიე — სტანდარდი 3-1
ვესტერლო — ბეერსხოტი 1-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გენტი | 10 | 8 | 1 | 1 | 19-10 | 25 |
| ბრიუგე | 9 | 8 | 0 | 1 | 23-8 | 24 |
| გენკი | 10 | 6 | 3 | 1 | 29-14 | 21 |
| ანდერლეხტი | 9 | 5 | 3 | 1 | 21-11 | 18 |
| აალსტი | 10 | 5 | 1 | 4 | 12-17 | 16 |
| სტანდარდი | 9 | 4 | 3 | 2 | 14-11 | 15 |
| სტ. ტრუიდენი | 10 | 4 | 3 | 3 | 18-16 | 15 |
| შარლერუა | 9 | 4 | 2 | 3 | 10-11 | 14 |
| ლოკერენი | 9 | 4 | 1 | 4 | 14-10 | 13 |
| ბეერსხოტი | 10 | 3 | 4 | 3 | 20-17 | 13 |
| ლიერსი | 10 | 3 | 3 | 4 | 11-13 | 12 |
| ლომელი | 10 | 3 | 3 | 4 | 18-24 | 12 |
| ვესტერლო | 9 | 3 | 1 | 5 | 15-16 | 10 |
| მუსკრონი | 10 | 3 | 0 | 7 | 14-15 | 9 |
| ანტვერპენი | 10 | 2 | 2 | 6 | 14-18 | 8 |
| მოლენბეკი | 10 | 2 | 1 | 7 | 10-18 | 7 |
| ბევერენი | 10 | 1 | 3 | 6 | 9-27 | 6 |
| ლუვიე | 10 | 1 | 2 | 7 | 11-26 | 5 |

## პორტუგალია

მარიტიმუ — გიმარაეში 2-0
პორტუ — ბელენენსეში 1-2
ბენფიკა — ჟილ ვისენტე 2-0
ბოავიშტა — ბრაგა 3-0
ვარზიმი — ფარენსე 2-0
სალგეიროში — ფერეირა 3-2
ბეირა მარი — ალვერკა 6-2
სეტუბალი — ლეირია 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 10 | 7 | 1 | 2 | 18-8 | 22 |
| ბენფიკა | 9 | 4 | 5 | 0 | 17-11 | 17 |
| პორტუ | 9 | 5 | 1 | 3 | 17-7 | 16 |
| ბეირა მარი | 9 | 4 | 3 | 2 | 21-15 | 15 |
| მარიტიმუ | 9 | 5 | 0 | 4 | 15-11 | 15 |
| სპორტინგი | 8 | 4 | 1 | 3 | 14-9 | 13 |
| ბელენენსეში | 9 | 4 | 1 | 4 | 14-14 | 13 |
| გიმარაეში | 9 | 4 | 1 | 4 | 9-14 | 13 |
| ბრაგა | 9 | 3 | 2 | 4 | 14-9 | 11 |
| სეტუბალი | 9 | 3 | 2 | 4 | 14-13 | 11 |
| ლეირია | 9 | 2 | 5 | 2 | 9-9 | 11 |
| ჟილ ვისენტე | 9 | 3 | 2 | 4 | 8-12 | 11 |
| ფარენსე | 9 | 3 | 2 | 4 | 8-13 | 11 |
| ალვერკა | 9 | 3 | 1 | 5 | 8-17 | 10 |
| სალგეიროში | 9 | 3 | 1 | 5 | 8-17 | 10 |
| სანტა კლარა | 9 | 2 | 3 | 4 | 8-15 | 9 |
| ფერეირა | 9 | 1 | 5 | 3 | 9-10 | 8 |
| ვარზიმი | 9 | 2 | 2 | 5 | 10-18 | 8 |


ბოლონია — იუვენტუსი

## საბერძნეთი

ოლიმპიაკოსი — იონიკოსი 5-0
პანათინაიკოსი — პანაჰაიკი 8-0
ოფი — აკრატიტოსი 1-0
ეთნიკოსი — აეკ 2-0
არისი — ქსანთი 1-1
პაოკი — პანიონიოსი 3-1
ირაკლისი — ეგალეო 2-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 4 | 3 | 1 | 0 | 11-1 | 10 |
| აეკი | 4 | 3 | 0 | 1 | 8-3 | 9 |
| პანათინაიკოსი | 4 | 2 | 2 | 0 | 15-3 | 8 |
| ეთნიკოსი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-3 | 7 |
| ირაკლისი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-5 | 7 |
| ოფი | 4 | 2 | 1 | 1 | 5-6 | 7 |
| არისი | 4 | 1 | 3 | 0 | 3-2 | 6 |
| პაოკი | 4 | 1 | 2 | 1 | 6-6 | 5 |
| აკრატიტოსი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-3 | 4 |
| ქსანთი | 4 | 1 | 1 | 2 | 3-5 | 4 |
| პანაჰაიკი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-13 | 4 |
| პანიონიოსი | 4 | 0 | 2 | 2 | 4-8 | 2 |
| იონიკოსი | 4 | 0 | 1 | 3 | 2-9 | 1 |
| ეგალეო | 4 | 0 | 1 | 3 | 3-11 | 1 |

## შვეიცარია

ბაზელი — ციურიხი 2-1
იანგ ბოისი — ლუცერნი 5-1
ქსამაქსი — ლოზანა 2-1
ლუგანო — სერვეტი 1-1
არაუ — სტ. გალენი 0-1
გრასჰოპერი — სიონი 0-3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაზელი | 16 | 9 | 3 | 4 | 37-28 | 30 |
| სტ. გალენი | 16 | 8 | 4 | 4 | 33-27 | 28 |
| იანგ ბოისი | 16 | 7 | 5 | 4 | 32-22 | 26 |
| სერვეტი | 16 | 7 | 5 | 4 | 28-20 | 26 |
| ლუგანო | 16 | 7 | 4 | 5 | 28-26 | 25 |
| სიონი | 16 | 7 | 3 | 6 | 29-21 | 24 |
| გრასჰოპერსი | 16 | 7 | 2 | 7 | 34-26 | 23 |
| არაუ | 16 | 5 | 6 | 5 | 23-20 | 21 |
| ციურიხი | 16 | 5 | 6 | 5 | 18-22 | 21 |
| ქსამაქსი | 16 | 5 | 5 | 6 | 22-22 | 20 |
| ლუცერნი | 16 | 3 | 2 | 11 | 18-45 | 11 |
| ლოზანა | 16 | 2 | 3 | 11 | 15-38 | 9 |

## შოტლანდია

აბერდინი — დანფერმლაინი 3-2
სელტიკი — დანდი იუნ. 5-1
დანდი — მოზერუელი (გადაიდო)
კილმარნოკი — ლივინგსტონი 1-5
ჰიბერნიანი — ჰარტსი 2-1
სტ. ჯონსტონი — რეინჯერსი 0-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 11 | 10 | 1 | 0 | 28-4 | 31 |
| რეინჯერსი | 11 | 7 | 3 | 1 | 27-9 | 24 |
| ლივინგსტონი | 11 | 5 | 5 | 1 | 16-8 | 20 |
| ჰიბერნიანი | 11 | 5 | 2 | 4 | 23-17 | 17 |
| აბერდინი | 11 | 5 | 2 | 4 | 18-17 | 17 |
| კილმარნოკი | 11 | 4 | 2 | 5 | 13-17 | 14 |
| დანდი იუნ. | 11 | 4 | 2 | 5 | 14-23 | 14 |
| ჰარტსი | 11 | 4 | 1 | 6 | 13-14 | 13 |
| დანდი | 10 | 3 | 2 | 5 | 9-18 | 11 |
| მოზერუელი | 10 | 2 | 3 | 5 | 13-21 | 9 |
| დანფერმლაინი | 11 | 3 | 0 | 8 | 16-25 | 9 |
| სტ. ჯონსტონი | 11 | 0 | 3 | 8 | 7-24 | 3 |

## პოლონეთი

### A ჯგუფი

ოსტროვეცი — კატოვიცე 1-0
გურნიკი — ვიძევი 1-1
პოლონია — ზაგლებე 4-0
ოდრა — ვისლა 1-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოდრა | 12 | 8 | 1 | 3 | 22-14 | 25 |
| პოლონია | 12 | 6 | 4 | 2 | 22-10 | 22 |
| ვისლა | 12 | 7 | 1 | 4 | 21-12 | 22 |
| ზაგლებე | 12 | 5 | 2 | 5 | 18-22 | 17 |
| კატოვიცე | 12 | 4 | 3 | 5 | 16-20 | 15 |
| ოსტროვეცი | 12 | 4 | 2 | 6 | 14-15 | 14 |
| გურნიკი | 12 | 2 | 4 | 6 | 11-19 | 10 |
| ვიძევი | 12 | 3 | 1 | 8 | 9-21 | 10 |

### B ჯგუფი

რუხი — გროცლინი 3-0
სტომილი — ამიცა 0-0
შლიონსკი — პოგონი 0-4
რადომსკი — ლეგია 0-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოგონი | 12 | 7 | 3 | 2 | 20-11 | 24 |
| ლეგია | 12 | 6 | 3 | 3 | 26-14 | 21 |
| ამიცა | 12 | 5 | 5 | 2 | 19-14 | 20 |
| რუხი | 12 | 5 | 3 | 4 | 14-15 | 18 |
| შლიონსკი | 12 | 4 | 3 | 5 | 20-24 | 15 |
| რადომსკი | 12 | 3 | 4 | 5 | 9-11 | 13 |
| გროცლინი | 12 | 3 | 2 | 7 | 16-23 | 11 |
| სტომილი | 12 | 2 | 3 | 7 | 10-22 | 9 |

## ავსტრია

ავსტრია — ადმირა 3-0
ზალცბურგი — რიდი 2-0
ბრეგენცი — კერნტენი 2-0
გრაცერი — რაპიდი 1-0
ტიროლი — შტურმი 0-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 14 | 11 | 3 | 0 | 34-1 | 36 |
| შტურმი | 15 | 9 | 4 | 2 | 27-11 | 31 |
| გრაცერი | 16 | 8 | 3 | 5 | 32-24 | 27 |
| კერნტენი | 15 | 7 | 3 | 5 | 17-20 | 24 |
| ზალცბურგი | 16 | 6 | 4 | 6 | 15-16 | 22 |
| ბრეგენცი | 16 | 5 | 4 | 7 | 18-31 | 19 |
| რაპიდი | 16 | 5 | 3 | 8 | 15-21 | 18 |
| ავსტრია | 16 | 4 | 5 | 7 | 21-22 | 17 |
| რიდი | 16 | 3 | 6 | 7 | 21-28 | 15 |
| ადმირა | 16 | 2 | 1 | 13 | 10-36 | 7 |

## ნორვეგია

როზენბორგი — სტაბეკი 0-1
ბრინი — ოდ გრენლანდი 1-3
მოსი — ლილესტრიომი 0-2
სტრიომგოდ. — სონგდალი 2-2
ტრომსიო — ლინი 2-3
მოლდე — ბრანი 0-3
ბოდო გლიმტი — ვიკინგი 2-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| როზენბორგი | 25 | 16 | 4 | 3 | 65-28 | 54 |
| ლილესტრიომი | 25 | 16 | 5 | 4 | 61-32 | 53 |
| ვიკინგი | 25 | 14 | 6 | 5 | 42-28 | 48 |
| მოლდე | 25 | 13 | 4 | 8 | 53-40 | 43 |
| სტაბეკი | 25 | 13 | 3 | 9 | 43-38 | 42 |
| ბრანი | 25 | 12 | 5 | 8 | 61-42 | 41 |
| ოდ გრენლან. | 25 | 11 | 6 | 8 | 46-38 | 39 |
| ბოდო გლიმტი | 25 | 7 | 8 | 10 | 43-44 | 29 |
| მოსი | 25 | 9 | 2 | 14 | 34-46 | 29 |
| სონგდალი | 25 | 8 | 5 | 12 | 42-57 | 29 |
| ლინი | 25 | 6 | 8 | 11 | 39-46 | 26 |
| ბრინი | 25 | 5 | 4 | 16 | 30-60 | 19 |
| სტრიომგოდს. | 25 | 3 | 10 | 12 | 38-69 | 19 |
| ტრომსიო | 25 | 4 | 4 | 17 | 22-49 | 16 |

## ფინეთი

მიუპა — ჰიკი 1-0
ატლანტისი — ინტერი 2-1
ჰაკა — იოკერიტი 2-1
ჯაზი — კუოპიო 2-2
ლაჰტი — ტამპერე 0-1
ვაასა — როვანიემი 4-0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰიკი | 31 | 18 | 9 | 4 | 61-17 | 63 |
| ტამპერე | 31 | 19 | 5 | 7 | 45-31 | 62 |
| მიუპა | 31 | 17 | 9 | 5 | 45-23 | 60 |
| ჰაკა | 31 | 14 | 8 | 9 | 42-27 | 50 |
| ინტერი | 31 | 14 | 4 | 13 | 42-43 | 46 |
| ვაასა | 31 | 13 | 3 | 15 | 46-48 | 42 |
| ატლანტისი | 31 | 11 | 9 | 11 | 41-46 | 42 |
| კუოპიო | 31 | 8 | 10 | 13 | 32-42 | 34 |
| ლაჰტი | 31 | 8 | 9 | 14 | 35-46 | 33 |
| ჯაზი | 31 | 6 | 11 | 14 | 32-49 | 29 |
| იოკერიტი | 31 | 7 | 6 | 18 | 30-54 | 27 |
| როვანიემი | 31 | 5 | 9 | 17 | 23-48 | 24 |


ლესტერი — ლივერპული

## დანია

აკადემისკი — ვეილე 4-0
მიდტიულანდი — ბრონდბიუ 1-3
ოდენსე — სილკებორგი 2-1
ვიბორგი — ესბიერგი 0-1
კოპენჰაგენი — ლიუნგბიუ 4-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 13 | 9 | 3 | 1 | 32-6 | 30 |
| ოლბორგი | 12 | 8 | 2 | 2 | 21-14 | 26 |
| ესბიერგი | 13 | 8 | 1 | 4 | 21-19 | 25 |
| კოპენჰაგენი | 13 | 7 | 3 | 3 | 20-11 | 24 |
| აკადემისკი | 13 | 5 | 6 | 2 | 22-13 | 21 |
| მიდტიულანდი | 13 | 4 | 6 | 3 | 15-12 | 18 |
| ოდენსე | 13 | 4 | 4 | 5 | 18-20 | 16 |
| ლიუნგბიუ | 13 | 2 | 6 | 5 | 13-21 | 12 |
| ვიბორგი | 12 | 2 | 5 | 5 | 13-16 | 11 |
| ვეილე | 12 | 2 | 4 | 6 | 14-27 | 10 |
| ორჰუსი | 12 | 1 | 5 | 6 | 9-21 | 8 |
| სილკებორგი | 13 | 0 | 3 | 10 | 9-27 | 3 |

## რუსეთი

სპარტაკი — ანჟი 2-1
ზენიტი — როტორი 2-1
ალანია — სატურნი 0-5
ტორპედო — ფაკელი 3-1
ცსკა — ჩერნომორეცი 2-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 27 | 16 | 8 | 3 | 50-25 | 56 |
| ზენიტი | 28 | 15 | 8 | 5 | 49-31 | 53 |
| ლოკომოტივი | 27 | 14 | 7 | 6 | 48-22 | 49 |
| სატურნი | 28 | 13 | 8 | 7 | 45-19 | 47 |
| ტორპედო | 27 | 13 | 6 | 8 | 49-40 | 45 |
| ცსკა | 28 | 11 | 11 | 6 | 36-27 | 44 |
| კრილია სოვეტ. | 27 | 12 | 7 | 8 | 33-22 | 43 |
| სოკოლი | 28 | 11 | 5 | 12 | 28-39 | 38 |
| დინამო | 27 | 8 | 8 | 11 | 34-45 | 32 |
| როტორი | 28 | 8 | 7 | 13 | 37-39 | 31 |
| ანჟი | 27 | 7 | 10 | 10 | 26-29 | 31 |
| როსტსელმაში | 27 | 7 | 7 | 13 | 26-38 | 28 |
| ალანია | 28 | 7 | 7 | 14 | 27-46 | 28 |
| ტორპ. ზილი | 27 | 6 | 9 | 12 | 19-33 | 27 |
| ფაკელი | 28 | 7 | 4 | 17 | 27-47 | 25 |
| ჩერნომორეცი | 28 | 5 | 8 | 15 | 17-49 | 23 |

## 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

# აზია

### A ჯგუფი

საუ. არაბეთი — ტაილანდი 4-1
ბაჰრეინი — ირანი 3-1

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| საუ. არაბეთი | 8 | 5 | 2 | 1 | 17-8 | 17 |
| ირანი | 8 | 4 | 3 | 1 | 10-7 | 15 |
| ბაჰრეინი | 8 | 2 | 3 | 2 | 8-9 | 10 |
| ერაყი | 8 | 2 | 1 | 5 | 9-10 | 7 |
| ტაილანდი | 8 | 0 | 4 | 4 | 5-15 | 4 |

### B ჯგუფი

უზბეკეთი — ჩინეთი 1-0
საემიროები — ომანი 2-2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩინეთი | 8 | 6 | 1 | 1 | 14-4 | 19 |
| საემიროები | 8 | 3 | 2 | 3 | 10-11 | 11 |
| უზბეკეთი | 8 | 3 | 1 | 4 | 11-11 | 10 |
| ყატარი | 8 | 2 | 3 | 3 | 12-11 | 9 |
| ომანი | 8 | 1 | 3 | 4 | 4-14 | 6 |

ამრიგად, **საუ. არაბეთისა** და **ჩინეთის ნაკრებებმა** მოიპოვეს 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურები, ხოლო ირანისა და საემიროების ნაკრებებს შორის გამარჯვებული შეხვდება ირლანდიის ნაკრებს.

## XX საუკუნის დიდი ფეხბურთელები

ალფრედო დი სტეფანო:

# გმადლობთ, მოხუცო!

### ოჯახი და მეგობრები

მეკითხებიან ხოლმე, ამდენი ჩატარებული მატჩების, მინდვრის გვერდით სკამზე ჯდომის და უსასრულო მოგზაურობის შემდეგ რა გრჩება ცხოვრებაში. მრჩება ის, რაც სხვა პროფესიის ხალხს: ოჯახი და მეგობრები.

ოჯახი და შვილები ყოველთვის წინა პლანზეა. ქორწინების მხრივ გამიმართლა. 2000 წლის 5 იანვარს სარასთან ერთად ოქროს ქორწილი გადავიხადეთ. შედეგი — ექვსი შვილი და ოთხი შვილიშვილი. ოჯახში სარას ყოველთვის ცენტრალური ადგილი ეკავა, მისი საყრდენი და ბავშვებისათვის მაგალითი იყო. ახლა, გარდა იგნასიოსი, რომელიც ჩვენთან ცხოვრობს, დანარჩენი ბავშვები გაგვიფრინდნენ ბუდიდან, მაგრამ ყოველთვის არიან ჩვენთან, გვირეკავენ, ისე რომ, ერთიან ოჯახად ვითვლებით. ბავშვები ორ-ორნი ჩნდებოდნენ ჩემი კარიერის პერიოდებში. ჯერ ნანეტი და სილვანა — 52-სა და 53 წლებში — კოლუმბიურ პერიოდში „მილიონარისში" რომ ვთამაშობდი, შემდეგ ალფრედო და ელენა — 55-სა და 58-ში, მაშინ მადრიდის „რეალში" გამოვდიოდი, ეს იყო ამ კლუბის ყველაზე სახელოვანი წლები. და ბოლოს, სოფია და იგნასიო — 69-სა და 71-ში — მწვრთნელობის პერიოდში ჯერ „ბოკაში", შემდეგ „ვალენსიაში". და არც ერთი ფეხბურთელი. რა თქმა უნდა, მინდოდა, რომ ჩვენი გვარი საფეხბურთო მინდვრებზეც გახმაურებულიყო, მაგრამ ეს არც ისე მნიშვნელოვანია. მთავარია, რომ ისინი ადამიანები იყვნენ, ცხოვრებაში იპოვონ თავიანთი ადგილი. ალფრედო და იგნასიო ფეხბურთმა გაიტაცა, გამოდიოდნენ ბავშვთა მუნიციპალურ ტურნირებში მადრიდში, მაგრამ საბოლოოდ თავიანთი გზა მონახეს, და არაფერში არ გავრეულვარ, რაიმე რომ დამეძალებინა. არ ცდილან მამის ჩრდილქვეშ კეთილდღეობისთვის რომ მიეღწიათ, თვალი არ სჭეროდათ მუდმივად ოჯახს კისერზე დასწოლოდნენ. ეს თვისება, როგორც ვხედავ, თაობიდან თაობაზე გადადის, ამ შემთხვევაში შვილიშვილებს ვგულისხმობ. მშობლებს არგენტინაში ვურეკავ და წერილსაც ვწერ. იქაც არის ალფრედო, ჩემი ძმის, რვა წლის წინათ გარდაცვლილი ტულიოს ვაჟი. მაგრამ არც ის გამოვიდა ფეხბურთელი.

მეგობრებზე. ორშაბათობით ვფურცლავ „ABE"-ს და მაინტერესებს იმ გუნდების შედეგები, რომლებთანაც დაკავშირებულია ჩემი მეგობრების ბედი. ერთი მწვრთნელია, მეორე — პრეზიდენტი. საღამოთი მთელი კომპანიით ვმსჯელობთ კვირადღის თამაშებზე. ზოგჯერ რვა-ათი კაცი იყრის თავს, ხან ოცამდეც კი არიან. ლაპარაკის ოთხმოცი პროცენტი ფეხბურთზე მოდის. დანარჩენ დღეებში ოჯახებით ვხვდებით ბარში. მაინცდამაინც ფეხბურთელებთან არა, მაგრამ ფეხბურთის მოყვარულებთან კი. თითქმის ყოველ საღამოს ტელევიზორში ვუყურებ თამაშს. პარაბოლიური ანტენა მაქვს, ისე რომ, მთელ მსოფლიოში ვუყურებ თამაშებს, გვიან ღამემდე.

ჩემთვის დიდი ბედნიერება დღეს ის არის, რომ ვცხოვრობ მადრიდში და ირგვლივ მყავს ხალხი, რომელმაც გამიბედნიერა ცხოვრება. კვლავ ვგრძნობ მათ სიყვარულს და, თუ გნებავთ, აღფრთოვანებასაც, რაზეც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო. მათი მხრიდან კი, ეს ალბათ მადლობაა მათდამი ჩემი განწყობილებისათვის. არსებითად, უკომპლიქტო კაცი ვარ. არავის ჯავრს არ ჩავიხვევ გულში, ყოველთვის ვისწრაფვოდი მეკეთებინა კარგი, ამიტომაც ხალხს კვლავ ვუყვარვარ. და კიდევ, ალბათ, იმიტომ, რომ რაც მწვრთნელობას თავი დავანებე, მე მაინც სპორტში ვცხოვრობ. „რეალის" ვეტერანთა ასოციაციას თავმჯდომარეობ. კლუბმა „ბერნაბეუზე" მოგვცა სათავსო, სადაც ვიკრიბებით, ღვინის სასმელად კი არა, ვეტერანთა თამაშების ორგანიზაციისთვის და მათთვის ცოტა პესეტის შესაგროვებლად. ცხოვრება საქანელაა: ვინც დიდ პატივში იყო, დღეს აღარავის ახსოვს, და სიღარიბეში ცხოვრობს. ვეხმარებით, აგრეთვე ქვრივ ქალებს. ჩვენი ასოციაცია, არსებითად, კლუბია. მისი წევრები თამაშებს ატარებენ, თავს უყრიან თანხებს, ანაწილებენ ამ მცირე შემოსავალს.

მე, ცხადია, არ ვთამაშობ. აღარ შემიძლია. კვლავ მაწუხებს წელის ტკივილი, და ამას უნდა შევურიგდე. მაგრამ არ ვაცდენ ვეტერანთა თამაშებს, ვიცი, რომ ეს ურთიერთობაც ახარებს მაყურებელს. უნდა ნახოთ, ინჩადების სახეები, განსაკუთრებით, როცა მინდორზე არიან ბუტრე, მიჩელი, გალიეგო... ის სისწრაფე აღარ აქვთ, მაგრამ ბურთის ფლობა უწინდებურად — ფილიგრანული. შემართებაც, ახალგაზრდული.

ამიტომაც სთხოვენ გულს გაუფრთხილდნენ.

„სანტიაგო ბერნაბეუს" სტადიონზე საპატიო სტუმრების ლოჟაში თუმცა საშვი მაქვს, მაგრამ ვეტერანების გვერდით ჯდომა მირჩევნია. ლოჟაში ბევრი უცხო ხალხია. ყურისწამღებია მათი ლაპარაკი ფეხბურთზე. მირჩევნია თამაშს ვუყურო, მასზე ყოველგვარი ბოდვის მოსმენას. ვეტერანები კი შენი ხალხია. იგი თუ ილაპარაკებს, არსებითად იტყვის რამეს. სხვათა შორის, ეს ადგილები მათ კლუბმა უფასოდ გამოუყო.

ჩივილი ცოდვად ჩამეთვლება. თანამდებობის სათანადო ხელფასი მაქვს, თუმცა ყველაფერი ისე არ კეთდება, როგორც ვურჩევ და სწორად მიმაჩნია.

ბიზნესში არ ვარ ჩართული. ჩვენ სანტამარიასა და ისიდროსთან ერთად პატარა ქათმის ფერმა გვქონდა. იმიტომ კი არ ვიყავი იქ, რომ ფული მეშოვა, არამედ იმიტომ, რომ ნებისმიერ საჭმელს მირჩევნია ქათამი. სარამ ეს იცის და ყოველთვის მზად აქვს ფრთები და კისერი, ის, რასაც ბევრი გადაყრის. მაგრამ დადგა დრო მხვილი მეწარმეობისა, და ჩვენს ფერმასთან განშორება მოგვიხდა. ახლა კლუბში მუშაობასთან ერთად ტელეარხ „Antena-3"-ის სპორტულ პროგრამაში ვმონაწილეობ ფეხბურთის გადაცემაში ამერიკისთვის. ეს მავალდებულებს ყველა მოვლენის საქმის კურსში ვიყო.

ახლა მიღებულია „ჰობიზე" ლაპარაკი. მომწონს მუსიკა, კერძოდ, ოპერა, მაგრამ არგენტინული სისხლი ტანგოსკენ მქაჩავს. კინოს თეატრს ვამჯობინებ, თუმცა ვმონაწილეობდი სამ ფილმში. პირველი მხატვრული იყო, პატარა როლს ვასრულებდი არგენტინელ ფეხბურთელთა გაფიცვაში, რაზეც უკვე ვთქვი. სხვა ორი ესპანეთში გადაღებული — „თეთრი ისარი" და „საკვირაო ბატალია". პირველიც მხატვრულია. სახელის მიხედვით შე-



იძლება იფიქროთ, რომ მთლიანად ჩემს შესახებაა: „ისარი" — „Sante" ეს ჩემი მეტსახელია. ბავშვობაში ღია ფერის თმის გამო „თეთრ ისარს" მეძახდნენ. მაგრამ ამ ფილმში პატარა როლი მაქვს. მეორე — ნახევრადბიოგრაფიულია, უამრავი გოლებით.

ჩემთვის უჩვეულო სინჯები და რეპეტიციები, ძალიან მღლიდა და ალბათ, ამიტომ თეატრი უფრო მესიმპათიურება, ვიდრე კინო. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ არა მყავს საყვარელი მსახიობები. მაგალითად, კერი გრანტი. რა ელეგანტურია! ლოს-ანჯელესში გამაცნეს რიტოი ჰეიუორტი, ამ ბანოვანმა შეასრულა ბურთზე პირველი დარტყმა ჩვენს ამხანაგურ მატჩში.

ჩემს თავს აპოლიტიკურად ვთვლი. მაგრამ რაც ხდება ამ ცხოვრებაში, არ შეიძლება ყველაფრის მიმართ მონაწილეობის მიუღებლობა. არგენტინაში თვალს ვადევნებდი პერონის ხელისუფლებაში მოსვლას, ესპანეთში ფრანკოს ხელში ვცხოვრობდი, იგი ცენტრისტებმა შეცვალეს, მერე იყვნენ სოციალისტები, შემდეგ ისევ ცენტრისტები. ორივე მხარეს მყავს მეგობრები. ჩემი სიმპათიები ჩემთან რჩება. მიმაჩნია, რომ ისეთი ხალხი, როგორიც მე ვარ, სახელოვანი, არ უნდა ერეოდნენ პალიტიკურ თამაშებში. თავის მხრივ, პოლიტიკას ჩემთვის არაფერი მოუცია მატერიალური თვალსაზრისით. ერთადერთი, ეს სიხარულია, როცა მეგობრები იმარჯვებდნენ.

სინანულით ვაღიარებ — წიგნები არ მიყვარს. იგი გმოძღვრავს, როგორ უნდა იცხოვრო, მე კი მიმაჩნია, რომ წუთისოფელი ისე უნდა გაატარო, როგორც ღმერთმა და ოჯახურმა ტრადიციებმა დაგიდგინა. გაზეთებს ვკითხულობ, რომ საქმის კურსში ვიყო. მაგრამ მასაც გამოვყავდი წონასწორობიდან, როცა ვკითხულობდი: „ალფრედომ დაცვის პასიურობის წყალობით გაიტანა გოლი". ჯერ არ შემხვედრია მცველი, რომელიც მეტყოდა: „მიბრძანდი, ალფრედო, და შეაგდე".

წაიკითხავთ, და, ალბათ, მკითხავთ: ყველაფერი ეს რისთვისაა დაწერილი? ალბათ იმიტომ, რომ საკადრისი მივუზღო, ვინც მხარს მიჭერდა, ვინც მეხმარებოდა ამ ცხოვრებაში. ჩემი მშობლებისათვის, ძმისათვის, დების, ცოლის, შვილებისა და ნათესავებისათვის. პეუსელიესა და სეზარინისათვის, რომ აღმომაჩინეს, და ყველა პროფესიონალისათვის, რომლებიც დამეხმარნენ ტრიუმფით რომ მევლო. მოკრივე არ ვარ, გუნდის ერთი მოთამაშე ვიყავი. პარტნიორები დამეხმარნენ, რომ შექმნილიყო ეს წიგნი. ყველაფერი ჩემი — ეს მხოლოდ უამრავი ხალხის მიერ შექმნილი მთლიანის ნაწილია.

და კიდევ იმიტომ მოვკიდე ხელი ამ წიგნის შექმნას, რომ ბურთისთვის მეთქვა „გმადლობთ", მოხუცო" ანუ „შე, ძველო", რომელმაც ჩემს ცხოვრებაში მთავარი როლი შეასრულა და რომელსაც განსაკუთრებული აღიარების ნიშნად ჩემი სახლის ბაღში დავუდგი ძეგლი.

### ეპილოგის ნაცვლად

საბოლოოდ მკითხველს ვთავაზობ თავისებურ დოსიეს არგენტინელ ალფრედო დი სტეფანოს შესახებ, დაბადებულს ბუენოს-აირესში 1926 წლის 4 ივლისს ალფრედო დი სტეფანოს ოჯახში, რომელიც თამაშობდა „რივერ პლეიტში" 1910-1912 წლებში გამოსვლა დაამთავრა მუხლის ტრავმის გამო.

უმცროსმა ალფრედიტომ პირველი ნაბიჯები ფეხბურთში 1933 წელს გადადგა ჭაბუკთა გუნდში „თერთმეტნი და გავიმარჯვებთ", მეგობრებმა მინელიტა შეარქვეს, მისი კერპის „რივერ პლეიტის" ცენტრფორვარდ მინელას გამო.

1944 წელს მიიღეს „რივერაში". იმ დღეს 32 კონკურენტთაგან მხოლოდ ორი შეარჩიეს.

1945 წლის 13 აპრილს „რივერის" პირველ გუნდში ჰქონდა დებიუტი, შეცვალა ტრავმირებული მარჯვენა გარემარბი მეტსახელად „მანქანა". მომდევნო წელს ერთი სეზონით მისცეს „ურაკანს", სადაც 25 თამაშში გაიტანა 10 გოლი.

1947-1948 წლებში გამოდიოდა „რივერ პლეიტში", ვიდრე ფეხბურთელთა გაფიცვამ არ აიძულა კოლუმბიაში გადაბარგებულიყო. არგენტინის ჩემპიონატში მოასწრო 66 მატჩის ჩატარება და გაიტანა 49 ბურთი. ჟურნალისტებმა „La Saeta Rulia" შეარქვეს, რაც ნიშნავს „თეთრ ისარს" — თმის ფერის გამო.

ბოგოტაში პირველ სეზონშივე, გამოდიოდა რა „მილიანარიოსში" სხვა არგენტინელებთან ერთად (ისინი მისი პარტნიორები იყვნენ, „რივერაში") კოლუმბიის ჩემპიონი გახდა.

1953 წელს დაამთავრა კოლუმბიური პერიოდი: 294 მატჩში 267 გოლი. მისით, თითქმის ერთდროულად დაინტერესდა „ბარსელონა" და „რეალი" (მადრიდი), საბოლოოდ დი სტეფანო სამეფო კლუბში აღმოჩნდა და პირველსავე წელიწადს ესპანეთის ჩემპიონი გახდა („რეალს" 1933 წლიდან არ მოეგო ეს ტიტული) და საუკეთესო გოლეადორი — 28 მატჩში — 27 გოლი.

1956 წელს „რეალმა" დი სტეფანოს გოლის წყალობით ევროპის ჩემპიონთა პირველი თასი მოიპოვა. წლის ბოლოს მიიღო ესპანეთის მოქალაქეობა. 1957 წელი ერთ-ერთი ყველაზე მოსავლიანი იყო: დი სტეფანო — ლიგის ჩემპიონი, საუკეთესო გოლეადორი (31) და მეორედ ჩაიბარა ევროპის ჩემპიონთა თასი. გარდა ამისა, მისი დებიუტი შედგა ესპანეთის ნაკრებში, რაც ჰოლანდიელთა კარში ჰეთ-თრიკით აღნიშნა და მიიღო ყოველკვირეულ „ფრანს ფუტბოლის" „ოქროს ბურთი", როგორც ევროპის საუკეთესო მოთამაშემ.

მომდევნო წელიწადს მის კოლექციას შეემატა კიდევ ერთი ესპანეთის ჩემპიონის ტიტული და ევროპის ჩემპიონთა თასი მისი გარდუვალი გოლით ფინალში.

1959 წელს დი სტეფანო კვლავ პირველია ბომბარდირთა სიაში — 23 გოლით 28 თამაშში, და ისევ ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელია, ისევ გააქვს გოლი გათამაშების ფინალში და 1960 წელს კვლავ ჯილდოვდება „ოქროს ბურთით". მეხუთე გამარჯვება საკონტინენტთაშორისო თასზე, მორიგი ჰეთ-თრიკი აგვირგვინებს ფენომენურ მიღწევას — 49 გატანილი გოლი და უცილობლად შეგდებული ბურთი ხუთივე გამარჯვების ფინალში.

„რეალმა" და დი სტეფანომ გაიმარჯვეს აგრეთვე პირველ საკონტინენტთაშორისო თასის ფინალში ურუგვაის „პენიაროლთან".

მომდევნო ორ წელიწადს „რეალმა" — გაიმარჯვა ქვეყნის ჩემპიონატსა და ესპანეთის თასიც მიაყოლა. მაგრამ იყო წარუმატებლობაც, თუ შეიძლება ასე ეწოდოს ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალში დამარცხებას. წელის ტრავმამ დი სტეფანოს საშუალება არ მისცა გამოსულიყო მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში ჩილეში, და წერტილი ესმება მის გამოსვლას ესპანეთის ნაკრებში — 31 თამაში, 23 გოლი.

1963 წელს „რეალი" ესპანეთის ჩემპიონია, დი სტეფანომ არაჩვეულებრივ შედეგს მიაღწია — 12 გოლი 13 მატჩში.

23 ოქტომბერს მას „უემბლიზე" გამოჰყავს მსოფლიო ნაკრები ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ ფეხბურთის 100 წლისთავის საიუბილეო თამაშზე.

შემდეგი წელიწადი — ესპანეთის ლიგის კიდევ ერთი ჩემპიონობა, ევროპის ჩემპიონთა თასის კიდევ ერთი ფინალი და... კვლავ წარუმატებლობა. იგი მიდის „რეალიდან", რომელშიც წარუშლელი კვალი დატოვა — 518 ოფიციალური შეხვედრა და 418 გოლი.

ორი სეზონი გაატარა ბარსელონის „ესპანიოლში" და გადაწყვიტა გადასულიყო სამწვრთნელო სამუშაოზე. პირველ კლუბში — „ელჩე", პირველი პური კუტად ჩავარდა. მდგომარეობამ აიძულა შუა სეზონში გუნდი დაეტოვებინა.

ფიქრებში იგი უკვე არგენტინაშია, სადაც „ბოკა ხუნიორსი" იხმობს.

ერთი სეზონი ბუენოს-აირესში, 1969 წელს დი სტეფანო და მისი გუნდი არგენტინის ჩემპიონი ხდებიან. ახლა „ვალენსია" სთხოვს დაბრუნდეს. პირველი სეზონი, მწვრთნელი და მისი გუნდი ესპანეთი ჩემპიონებია, რასაც 24 წელიწადს უცდიდნენ, და თასის ფინალში გავიდნენ. 1972 წელს „ვალენსია" ვიცე-ჩემპიონია და კვლავ თასის ფინალისტი.

მაგრამ მერე ცა მოექუფრა. მე-6, მე-10 ადგილები, და ნერვებაშლილმა დი სტეფანომ ჩაიბარა მეორე დივიზიონის „რიო ვალეკანო".

1976-1979 წ.წ. „რაიო" მე-9 ადგილზე მიატოვა, ჩაიბარა „კასტელიონი". იგი მე-14 ადგილზე გავიდა და დი სტეფანომ აიღო წუთშესვენება, ვიდრე მას „ვალენსია" არ დაუბრუნდება.

1980 წელი. „ვალენსია" მე-6 ადგილზეა, სამაგიეროდ, დი სტეფანომ თავის კლუბს კიდევ ერთი ევროტურნირი მოაგებინა — უეფას თასი. 1981. დი სტეფანო მშობლიურ „რივერ პლეიტს" ჩაუდგა სათავეში და პირველ ადგილზე გაჰყავს იგი. ჩემპიონობა „ბოკოსა" და „რეიჯერთან" ერთად, ასეთი შედეგი არც ერთ მწვრთნელს არა ჰქონია.

1981. ზოგი ჭირი მარგებელიაო... „რივერი" მე-10 ადგილზეა, დი სტეფანო ესპანეთშია, „რეალის" (მადრიდის) მწვრთნელად მუშაობს. მისგან მხოლოდ გამარჯვებებს ელიან, ის კი მარტო „ვიცეა". ორ სეზონს ითმენენ ამას და — „მშვიდობით". ხანმოკლე იძულებითი უსაქმურობის შემდეგ კვლავ იწვევს „ვალენსია".

1986-1988 წ.წ. მესამე ვალენსიური პერიოდი ძალიან წააგავს მთაში სიარულს. მეორე დივიზიონში ჩაძირვა, დაბრუნება ერთ სეზონში და მორიდებული მე-14 ადგილი.

1989 წელი. სულ მცირე სიხარული: „France Fotball" მას ბოლო ოცდათხუთმეტწლეულის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებს, ხოლო „რეალის" პრეზიდენტი თანაშემწედ იწვევს.

1990 წელი. „რეალი" ათავისუფლებს ტოშაკს და დი სტეფანოს ნიშნავს დროებით მწვრთნელად. კლუბმა ესპანეთის სუპერთასი მოიგო მუდმივ მეტოქე „ბარსელონასთან" შეტაკებაში, მაგრამ ეთიშება ევროპის ჩემპიონთა თასისათვის ბრძოლას, „სანტიაგო ბერნაბეუზე" დათმო თამაში მოსკოვის „სპარტაკთან". ახლა კი „სამუდამოდ მშვიდობით".

1990-2000 წლები დაწვრილებითაა აღწერილი მისი წიგნის „გმადლობთ, მოხუცო" ბოლო თავებში.

*დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო" №72-82*

## ნომრიდან ნომრამდე

**● მადრიდის „რეალმა" უპრეცედენტო კონტრაქტი გააფორმა თავის ფეხბურთელებთან. იმ შემთხვევაში, თუ „სამეფო კლუბი" მოიგებს ესპანეთის ჩემპიონატს და ჩემპიონთა ლიგას, თითოეული ფეხბურთელი მიიღებს 100 მილიონ პესეტს (დაახლოებით ნახევარი მილიონი დოლარი). ეს თანხა კლუბს რეალურად დარჩა მას შემდეგ, რაც ახალი ბაზის მშენებლობა მთლიანად ქალაქის ხელისუფლებამ დააფინანსა.**

● ბრაზილიის ის კლუბები, რომელთა ფეხბურთელები ქვეყნის ნაკრებში მიიწვიეს მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ორ მატჩში მონაწილეობისთვის, ქვეყნის ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარის თქმით იმუქრებიან. განსაკუთრებით აქტიურობს „ფლამენგო" და „ვასკო და გამა". ქვეყნის კონფედერაციას მათ თხოვნით მიმართეს გადაიტანონ მატჩები. ისინი წინააღმდეგი არ არიან ნაკრებში მათი ფეხბურთელების გაწვევით, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს კლუბის ინტერესების საზიანოდ, მით უფრო მაშინ, როცა ქვეყნის ჩემპიონატი გადამწყვეტ ფაზაშია შესული.

**● სენსაციური ცნობა გავრცელდა უცხოეთის პრესაში. ევროპისა და მსოფლიოს საფეხბურთო ვარსკვლავი მარკო ვან ბასტენი შეიძლება დიდ ფეხბურთს დაუბრუნდეს. ბასტენი ახლა იმყოფება გოლფის ტურნირზე, სადაც, ტრადიციულად, სხვადასხვა ცნობილი პიროვნებები იყრის თავს. სწორედ აქ განაცხადა ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა, რომ სურს კვლავ ითამაშოს ფეხბურთი. „ვგრძნობ, რომ ფეხბურთი თავისკენ მექაჩება. ძალიან მსურს ამდენი ხნის შემდეგ ისევ დავბრუნდე მინდორზე სათამაშოდ, თუმცა, არ ვიცი რას მომიტანს ეს ნაბიჯი. ვფიქრობ ფეხბურთში დაბრუნებაზე და ისეთი განცდა მაქვს, როგორიც მსოფლიო ჩემპიონატის წინ მქონდა" — თქვა ბასტენმა.**

● მიუხედავად სიძნელეებისა, რუსეთის ორმა ტელეარხმა მოახერხა შეეძინა 2002 წლის მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის ტრანსლაციის უფლება. უკვე დაასრულა მოლაპარაკება გერმანიის მედიაჯგუფ „კირხთან", რომელსაც ჩემპიონატის ტელეტრანსლაციის სხვებზე გაყიდვის უფლება აქვს შეძენილი. ასე რომ, რუსეთის ორტ და რტრ-ი გეგმავს მაყურებელს უჩვენოს ჩემპიონატის ყველა მატჩი, რომელთა საერთო რაოდენობაა 64.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მსოფლიო გუნდური პირველობა უკრაინელებმა მოიგეს

ერევანში დასრულდა მოჭადრაკეთა მსოფლიო გუნდური ჩემპიონატი. ბოლო ტურის წინ ლიდერობდა რუსეთის ნაკრები, რომელიც უახლოეს მდევარს — უკრაინელებს 0,5 ქულით უსწრებდა. გამარჯვებული მათ შეხვედრას უნდა გამოევლინა. უკრაინელებმა ერთი პარტია მოიგეს, სამი ფრედ დამთავრდა. ამრიგად, მოუგორა ბოლო პარტია რუსეთელებს — 2,5:1,5, უკრაინამ ჯამში მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონობა — 21,5 ქულა. რუსეთის ნაკრებს 21 ქულა აქვს, მესამე ადგილზე გავიდა მასპინძელთა გუნდი, რომლებმაც ბოლო შეხვედრა წააგეს უნგრელებთან 1,5:2,5. საბოლოოდ, სომხებმა, რომლებიც თავიდან კარგა ხანს ლიდერობდნენ, 20 ქულა მოაგროვეს.

## გარი კასპაროვმა ჩეხეთის ფავორიტებს სძლია

მსოფლიო ექს-ჩემპიონმა გარი კასპაროვმა ერთდროული სეანსი ჩაატარა ჩეხეთის ოთხ საუკეთესო მოჭადრაკესთან და გაიმარჯვა 5,5:2,5. შეხვედრა შედგა პარიზში. ამ უჩვეულო მატჩში გამარჯვებისთვის კასპაროვი ჯილდოდ მიიღებს 40 ათას დოლარს.

## იააფი გეგმებს ცვლის

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ (იააფ) პრესკონფერენცია გამართა. იააფის პრეზიდენტმა ლამინა დიაკმა ევროპის ასოციაციის ხელმძღვანელმა ხანს-იორგ ვირცემ ილაპარაკეს მსხვილ საერთაშორისო შეჯიბრებებში შეტანილ ცვლილებებზე. ამიერიდან ზაფხულისა და ზამთრის მსოფლიო ჩემპიონატები ჩატარდება არა ყოველწლიურად, როგორც ეს იყო ადრე, არამედ წელიწადმონაცვლეობით. იგივე ეხება ევროპის ჩემპიონატს. სხვა ცვლილებები ეხება ოქროს ლიგას. 2003 წლიდან ლიგის შეჯიბრებებში გაჩნდება ახალი პროგრამა და ახალი დისციპლინები.

ითქვა, რომ 2006 წლის ევროპის ჩემპიონატი ჩატარდება გეტებორგში (შვეცია), ხოლო 2005 წლის ჩემპიონატი გაიმართება არა შეფილდში, არამედ ლონდონში. თუ ინგლისელები თავიანთ დედაქალაქში ამ ასპარეზობის მიღებაზე უარს იტყვიან, განიხილება სხვა კანდიდატურა.

## მოიპარეს უცხოეთის პასპორტები და...

რუსეთის ფრენბურთელთა ნაკრები გუნდის უფროს მწვრთნელს მიხაელ ომოლჩენკოს ძვირად დაუჯდა მცირე ხნით ქალაქ ოდინცოვოში სპორტკომპლექს „ისკრას" მიმდებარე ავტოსადგურზე თავისი „ჟიგულის" გაჩერება. ბოროტმოქმედებმა ჩაამტვრიეს მანქანის მინა, გახსნეს კარი და გაიტაცეს ნაკრები გუნდის წევრთა უცხოეთში გასამგზავრებელი 23 პასპორტი, თვითმფრინავზე ზაგრებამდე მგზავრობის ამდენივე ბილეთი და 1100 აშშ დოლარი.

## ფრენბურთის დიდების დარბაზის ახალი წევრები

ასეთი დარბაზი არსებობს აშშ-ში მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ ხოლიოკში. ახლა ამ დარბაზში სამუდამოდ მიუჩინეს ადგილი სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონებს კარაჩ კირაის და რეგლა ტორესს. ასეთივე პატივი მიაგეს ჟან გარტნერს. კირაი XX საუკუნის საუკეთესო მოთამაშედ არის აღიარებული. აშშ-ს ნაკრებთან ერთად მან გამარჯვება მოიპოვა 1984 და 1988 წლის ოლიმპიურ თამაშებში, ატლანტაში, 1996 წელს კი პლაჟბურთში მოიპოვა ოლიმპიადის ოქროს მედალი. ტორესი კი ქალთა შორისაა რჩეული. კუბის გუნდი, რომლის შემადგენლობაშიც ტორესი გამოდიოდა, ბოლო სამ ოლიმპიადაში გახდა ჩემპიონი.

## დისკვალიფიცირებულია ოლიმპიური ჩემპიონი

სიდნეიში გამართულ ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებული შტანგისტი ქალი კოლუმბიელი იზაბელ ურიტია მხილებულია დოპინგის მიღებაში და დისკვალიფიცირებულია ორი წლით. ანალიზი აიღეს ქ. კალში გამართულ შეჯიბრებაში, სადაც კოლუმბიელი კვლავ უძლიერესი იყო. სპორტსმენის სისხლში აღმოაჩინეს ეფედრინი და ნანდროლონი, რომელიც ასე პოპულარულია ძალოსნებში. დისკვალიფიკაცია ვრცელდება, როგორც ქვეყნის შიდა, ასევე საერთაშორისო ტურნირებზე.

## ფორმულა-1 ავტომწარმოებლები ისევ ალტერნატიული ფორმულით იმუქრებიან

გასულ კვირაში მსხვილმა ავტომწარმოებლებმა ფორმულა-1-ის ალტერნატიული ასპარეზობის ძიებისათვის კვლავ მოიცალეს. გააქტიურება გამოიწვია კირხის მიერ ფორმულა-1-ის საკონტროლო პაკეტის შეძენამ, რომელიც რბოლის ტელეტრანსლაციის უფლების მინიჭებასაც გულისხმობს. მწარმოებელთა სახელით პაოლო კანტარელამ განაცხადა: „ჩვენი მიზანია სპორტის ინტერესების მხარდაჭერა, რბოლების ფართო მასებისთვის ჩვენება და მოგების განაწილება მათ შორის, ვინც ფული ჩადო, რათა გარანტირებულ იქნეს კონკურენტუნარიანობა როგორც მწარმოებლებისთვის, ისე ცალკეული გუნდებისთვის".

### ფრენტცენს „პროსტის" სჯერა

როგორც ცნობილია, გერმანელი მრბოლი ფრენტცენი ფორმულა-1-ის წლევანდელი სეზონის შუა ნაწილში „ჯორდანიდან" გადავიდა „პროსტის" გუნდში და მისმა გამოცდილებამ დიდი სარგებლობა მოუტანა ფრანგ კონსტრუქტორებს. დარჩება თუ არა იგი ამ გუნდში საბოლოოდ, არაა გადაწყვეტილი, თუმცა გერმანელს დღემდე სჯერა „პროსტის" მაღალი შესაძლებლობების. შეგახსენებთ, რომ „პროსტთან" გერმანელმა მრბოლმა კონტრაქტი 2001 წლის ბოლომდე მხოლოდ ხუთი რბოლისთვის გააფორმა.

### ირვინი შუმახერის ღირსეულ მეტოქედ მონტოიას მიიჩნევს

„იაგუარის" პილოტი ედი ირვინი მიიჩნევს, რომ ერთადერთი მრბოლი, რომელიც მიხაელ შუმახერს ღირსეულ მეტოქეობას გაუწევს და ჩამოაქვეითებს, პაბლო მონტოიაა. „შედარებით ახალგაზრდებს მუდამ გააჩნიათ ფსიქოლოგიური უპირატესობა, მათ დასაკარგი არაფერი აქვთ. მიხაელი ახლა აღარასოდეს გარისკავს ისე, როგორც ადრე, როცა სენას გადასწრება სურდა. ასაკს მეტი სიფრთხილე მოაქვს. შუმახერი ახლა სიბრძნეზე გადაიტანს აქცენტს და რისკს მოერიდება. ამიტომ მონტოია, თუ, რა თქმა უნდა, „ვილიამსი" კარგ მანქანას გაუკეთებს, მომავალ სეზონში შუმახერის ერთ-ერთი მთავარი კონკურენტი გახდება" — ამბობს ირვინი.

## ოლიმპიური ჩემპიონის წარმატება პროფესიულ რინგზე

სიდნეიში ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა სუპერმძიმე წონაში ოდლი ხარისონმა წარმატებით შედგა ფეხი პროფესიულ რინგზე. ახლა მან ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა. ამჯერად ტექნიკური ნოკაუტით სძლია მეორე რაუნდში გლაზგოელ პეტერ იურჩიკს. ამ გამარჯვებით ხარისონმა საბოლოოდ დაადუმა ზოგიერთი კრიტიკოსი. ახლა ბევრი თვლის, რომ ეს მოკრივე ლენოქს ლუისის ღირსეული მემკვიდრე გახდება.

## დასრულდა მსოფლიო თასის გათამაშება

ეს ასპარეზობა დასრულდა „ლომბარდიის ტურით", რომელმაც საბოლოოდ გაარკვია საერთო ჩათვლაში გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობა. ბოლო ასპარეზობა მოიგო იტალიელმა დანილო დი ლუკამ – 6 საათი, 38 წუთი და 29 წამი, იგივე დრო ჰქონდა ესპანელ ჯულიანო ფიგრესს, მესამე იყო ჰოლანდიელი მიხაელ ბოგერდი (პლუს 1 წ). საერთო ჩათვლა: 1. ერიკ დეკერი (ჰოლანდია) – 332 ქულა, 2. ერიკ ცაბელი (გერმანია) – 250, 3. რომან ვაინშტეინი (ლატვია) – 229, 4. პაოლო ბეტინი (ესპანეთი) – 201, 5. დავიდე რებელინი (იტალია) – 170, 6. ფრანჩესკო კასაგრანდე (იტალია) – 153.

## სანულოსნო „ფორმულა-1"-ს ტრაგედია მოჰყვა

მსოფლიო ჩემპიონატის მე-10 ეტაპზე წყალსამოტორო „ფორმულა-1"-ში, ლატვიის გუნდის სახელით მოასპარეზე რუსი სპორტსმენი ვიქტორ კუჩინი მძიმედ დაშავდა აბუ-დაბიში მიმდინარე ამ შეჯიბრებაში. „მისი მდგომარეობა მძიმეა, მაგრამ არა უკიდურესად მძიმე, სპორტსმენი ჯერ უგონოდაა, მიღებული აქვს უამრავი მოტეხილობა ქალა-ტვინის ტრავმით" — აცხადებს აბუ-დაბის საავადმყოფოს ნეიროქირურგი.

ვიქტორ კუჩინის სკუტერი მაღალი სიჩქარით მოძრავ სამ მოტორიან ნავს ერთდროულად შეეჯახა.

## ერთსაათიანი რბოლის რეკორდი უცვლელი დარჩა

გერმანელმა ველომრბოლმა ტომას ლისემ ვერ დაამხო ერთსაათიანი რბოლის რეკორდი, რომელიც ეკუთვნის ბრიტანელ კრისი ბორდმანს — 49 კმ და 444 მ. ბერლინის ველოდრომზე ტომას ლისე 38-ე წუთზე შეაჩერეს, მას შემდეგ, რაც აშკარა გახდა, რომ რეკორდი არ დაემხობოდა. ლისის ახირება სპონსორებს 4,8 ათასი დოლარი დაუჯდათ. ამასთან, მრბოლმა მოისურვა ველოდრომი დაეხურათ — არც მაყურებელი შეუშვეს, არც ჟურნალისტები. სხვათა შორის, შარშან, რეკორდის შეცვლა ესპანელმა აბრაჰამ ოლანომ მოისურვა, მაგრამ ამაოდ.

## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**23 ოქტომბერი, შაბათი**

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ჩვენი ფეხბურთი (22.30), *რუსთავი-2.* ჩემპიონთა ლიგა: „იუვენტუსი" – „პორტუ" (23.40), მიმოხილვა (2.00). *ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (10.45, 21.40). *მე-9 არხი.* მსოფლიო ფეხბურთი (14.25), ევროპის სტადიონებზე (20.00). *HTB.* ჩემპიონთა ლიგა: მიმოხილვა (2.15), „ბავარია" – „ფეიენოორდი" (3.00). *ESPN.* ინგლისის ჩემპიონატი: მიმოხილვა (08.00), „მიდლსბრო" – „სანდერლენდი" (20.00). იტალიის ჩემპიონატი. მიმოხილვა (17.00). ჩემპიონთა ლიგა (23.30 – პირდაპირი, 02.00). *EUROSPORT.* რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (12.30, 2.15). ფეხბურთი: მსოფლიო 2002 ჩემპიონატის გზები, აზიის ზონა (13.30), ევროგოლები (15.00). „ფორმულა-1" (20.30). *HTB плюс футбол.* რუსეთის ჩემპიონატი. მიმოხილვა (13.15). გერმანიის (16.05), ინგლისის (18.55) ჩემპიონატების მიმოხილვა. ჩემპიონთა ლიგა: მოსკოვის „სპარტაკი" – ჩეხეთის „სპარტა" (20.30), „ბავარია" – „ფეიენოორდი" (23.40), „ლიონი" – „ბარსელონა" (1.35). *HTB плюс спорт.* კრივი. პროფესიონალთა ბრძოლები (16.10), ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი (17.30, 20.00), კალათბურთი. ევროლიგის მიმოხილვა (19.00), წრიული ავტორბოლა. მსოფლიო ჩემპიონატი (0.00).

**24 ოქტომბერი, ოთხშაბათი**

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ჩვენი ფეხბურთი (10.05), *რუსთავი-2.* ჩემპიონთა ლიგა: მიმოხილვა (15.20), „რეალი" – „რომა" (23.40), მიმოხილვა (2.00). ევრიკა. მსოფლიო სპორტი (10.45, 22.30). *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (14.30, 20.00). *PTP.* კრივი. საერთაშორისო ტურნირის დღიური (2.45). *HTB.* ჩემპიონთა ლიგა: „ანდერლეხტი" – მოსკოვის „ლოკომოტივი" (23.35), დღიური (2.05), „რეალი" – „რომა" (2.50). *ESPN.* ჩემპიონთა ლიგა (17.00, 20.30, 23.30 – პირდაპირი, 02.00). *EUROSPORT.* ფეხბურთი. მსოფლიო 2002 წლის ჩემპიონატის გზით (13.30). „ფორმულა-1" (15.00). ცხენოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (0.00). „ფორმულა-1" (2.15). *HTB плюс футбол.* ჩემპიონთა ლიგა: რუსეთის „სპარტაკი" – ჩეხეთის „სპარტა" (13.15), „ბავარია" – „ფეიენოორდი" (15.50), „იუვენტუსი" – „პორტუ" (18.00), „რეალი" – „რომა" (23.35), „ბორუსია" – კიევის „დინამო" (1.35). ინგლისის (14.55), იტალიის (20.10). ჩემპიონატების მიმოხილვა. *HTB плюс спорт.* ბრძოლა წესების გარეშე (11.45), სპორტული ცეკვები. მსოფლიო თასი (14.15), ტაილანდური კრივის ვარსკვლავები (16.15). ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი (17.30), კალათბურთი, ევროლიგა (23.24).

**25 ოქტომბერი, ხუთშაბათი**

*საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.* ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (15.20), ევრიკა. მსოფლიო სპორტი (10.45, 21.40), *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (15.15). *PTP.* კრივი. საერთაშორისო ტურნირი (2.45). *ESPN.* ფეხბურთი: გოლები (08.30), ინგლისის ჩემპიონატი: „მიდლსბრო" – „სანდერლენდი" (14.00). ჩემპიონთა ლიგა (17.00, 20.30), მსოფლიო თასი. მიმოხილვა (20.00), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (23.00). *EUROSPORT.* ფეხბურთი. მსოფლიო 2002 წლის ჩემპიონატის გზით (13.30), ცხენოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (15.00), *HTB плюс футбол.* ჩემპიონთა ლიგა: „ანდერლეხტი" – მოსკოვის „ლოკომოტივი" (13.15), „რეალი" – „რომა" (15.15), „ბორუსია" – კიევის „დინამო" (17.00), „არსენალი" – „მალიორკა" (19.20, მე-4 ტურის მიმოხილვა (23.55), ინგლისის (23.00), გერმანიის (1.15), რუსეთის (2.15) ჩემპიონატების მიმოხილვა. *HTB плюс спорт.* კალათბურთი. ევროლიგა (14.55). ტაილანდური კრივი (16.20), ჩოგბურთი. საერთაშორისო ტურნირი (17.30, 20.00). კიკბოქსინგი. პროფესიონალთა მატჩი (22.25), კალათბურთი. ევროლიგა (23.25).



## კროსვორდი №83



**თარაზულად:** 6. ასპარეზობის დაწყების ნიშნის მიმცემი, 7. მძლეოსნობაში ერთ-ერთი პროგრამის სექტორი ხტომისათვის, 8. არგენტინის საფეხბ. ნაკრების მეკარე, 9. ერთ-ერთი დაბრკოლება, რომელიც ალპინისტებმა უნდა დაძლიონ, 11. გაფრთხილება ძიუდოში, 13. ცნობილი ქართველი ვეტერანი ვაჟი ჩოგბურთი, 14. თანამედროვე პროფესიონალი მოკრივე, 16. საფრანგეთის საფეხბ. კლუბი, 18. ილეთი ქართულ ჭიდაობაში, 19. ცნობილი იტალიელი საფეხბურთო მსაჯი, 22. კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის მოკლე დასახელება, 23. ვეტერანი გერმანელი ფეხბურთელი მს. ჩემპიონატის მონაწილე, 25. საფრანგეთის უმაღლესი დივიზიონის საფეხბ. გუნდი, 26. მშვილდით სატყორცნი, 27. კურნიკოვას სახელი, 28. ვეტერანი ცნობილი ქართველი ფეხბურთელი, ამჟამად მწვრთნელი, 29. ნარ-ნარი ფრენა.

**შვეულად:** 1. ლეგენდარული იაპონელი ძიუდოისტი, 2. ქართული საფეხბ. კლუბი, 3. საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაცია, 4. თბილისის „დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელი — მეკარე, 5. ფრანგი ვეტერანი ფეხბურთელი, 9. ლეგენდარული ფინელი სტაიერი, 10. სასტუმროს მოსამსახურე, 12. რუსეთის ყოფილი პრეზიდენტი, 14. ველოსიპედისტთა საასპარეზო, 15. ტანვარჯიშისა და საცირკო გამოსვლებში დახელოვნებული ოსტატი, 17. თბილისის „დინამოს" ვეტერანი კალათბურთელი, 20. ფეხბურთში ოლიმპიური ჩემპიონი ქვეყანა, 21. ლეგენდარული მძლეოსანი 30-იან წლებში, რომლის გამოსახულება საფოსტო მარკაზე აისახა, ოლიმპიური ჩემპიონი, 24. დაწესებულებაზე გამოკრული წარწერა.

### კროსვორდი №82 • პასუხები:

**თარაზულად:** 6. „ანცი", 7. ლაინსმენი, 8. ფალკაო, 9. ნბა, 10. ნებიერიძე, 12 ფოლი, 13. ლი, 14. სოკი, 16. ზეინკლიშვილი, 19. როა, 21. ჩემპიონი, 22. მოგვერდი, 24. ირაო, 25. „აეკი". **შვეულად:** 1. კანტონა, 2. ზიდანი, 3. შარაბიძე, 4. ასპე, 5. ანაბოლიკი, 11. ბერტი, 14. „სელტიკი", 15. აზარტი, 17. შვედეთი, 18. ბრინჯაო, 20. კროლი, 23. ბა.

## საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი



**ნადიშამათი 3 სვლაში**

ამოცანის ამოხსნის წესი: შავები იწყებენ და ხელს უწყობენ თეთრებს, რომ დააშამათონ შავების მეფე.

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. ლh4! 1. ...მფe3 2. ლg3X.
1. ...მფf3 2. ლf2X.
1. ...მფf5 2. ლf6X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX • „ლელოს", კომპიუტერული ცენტრი: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.